

თსუ არნოლდ ჩიქობავას სახელობის
ენათმეცნიერების ინსტიტუტი

არნოლდ ჩიქობავას საკითხავები

XXXV

2024 წლის 18-20 ივნისი

მ ა ს ა ლ ე ბ ი

თბილისი
2024

2024 წლის 18-20 ივნისს გაიმართება სამეცნიერო სესია „**არნოლდ ჩიქობავას საკითხავები**“. სხდომები ჩატარდება ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პირველი კორპუსის 202-ე აუდიტორიაში.

რ ე გ ლ ა მ ე ნ ტ ი

მომხსენებელს – 10 წუთი

მსჯელობაში მონაწილეს – 3 წუთი

რედაქტორი – **ვ. შენგელია**

© თსუ არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტი, 2024

ISBN

მ უ შ ა ო ზ ი ს გ ე გ მ ა

18 ივნისი, 12 საათი

თავმჯდომარეები: **ნ. მაჭავარიანი, ქ. მარგიანი**

- გ. გოგოლაშვილი, რამდენიმე მოგონება აკადემიკოს არნოლდ ჩიქობავას შესახებ (ფრაგმენტები მოგონებათა წიგნიდან)
- ნ. არდოტელი, მახვილი ხუნძურ-ანდიურ-დიდოურ ენებში
- თ. გვანცელაძე, აფხაზი ავტორის აქამდე უცნობი თვალსაზრისი ქართული დამწერლობის უპირატესობათა შესახებ
- ქ. მარგიანი, -უტ/ოდუტ (-მცა) ნაწილაკის ფუნქციები სვანური ზღაპრის ენაში
- ე. ნაკირელი, მ. ბარიხაშვილი, ქდვ-ის ინგილოური ლექსიკონი
- რ. ფარეულიძე, ფიცილის ფორმულათა ერთი სახეობა ნახურ ენებში
- ჭ. ქირია, თანხმოვანფუძიან სახელთა პარადიგმები ზანურში

მ. ლ ლ ო ნ ტ ი, ქართული სიტყვის საღვთისმეტყველო მორფო-
სემანტიკისათვის (ექსკლუზივი, შესაქმისეული დრო)

ნ. ჭ ო ხ ო ნ ე ლ ი ძ ე, ზოგი დიალექტური სიტყვის წარმომავ-
ლობისათვის (ბოკოლა, ნიხრი, ხოზდაგი, ჩომა)

19 ივნისი, 12 საათი

თავმჯდომარეები: **ნ. არდოტელი, თ. გვანცელაძე**

ნ. ა ხ ვ ლ ე დ ი ა ნ ი, ლ. ჩ ო თ ა ლ ი შ ვ ი ლ ი, ნ. ჯ ო რ ბ ე ნ ა ძ ე,
ი. გ ა გ უ ა, ერთი უძველესი ტოპონიმის (Aἶα) ისტორი-
ისათვის

გ. გ ვ ა ნ ც ე ლ ა ძ ე, კიდევ ერთი საარქივო დოკუმენტი ოსური
ენის ქართულ გრაფიკაზე გადაყვანის შესახებ

ლ. გ ი გ ლ ე მ ი ა ნ ი, რ. ჭ კ ა დ უ ა, ჰიდროაპელატივი **სარაგ**
„წყარო“ სვანურ მიკროჰიდრონიმებში

თ. ლ ო მ თ ა ძ ე, ა. კ ვ ი რ ი კ ა შ ვ ი ლ ი, არქაიზმები ქართველ
ებრაელთა მეტყველებაში

- ნ. მაჭავარიანი, სომატური ლექსიკის კვალი აფხაზურ მორფოლოგიურ ინვენტარში როგორც აფხაზურისა და ქართულის ერთნაირი ენობრივი მსოფლხედვის ნიმუში
- მ. საღლიანი, მეტამორფოზული მოვლენები უძველეს სვანურ რელიგიურ საწესჩვეულებო და რიტუალურ ლექსიკაში. I. დულობ/უწონაშობ/უყლარობ...
- ე. შენგელია, მეგრული ართცალო (|| არცალო || არცაძო || არცაო) სიტყვის სტრუქტურულ-სემანტიკური ანალიზი
- ი. ჩანტლაძე, რ. იოსელიანი, ნ. ქავთარაძე, ევროპელები და სვანები
- ნ. ხოჭოლავა - მაჭავარიანი, დენდრონიმი ბზა და მასთან დაკავშირებული ლინგვისტურ-კულტუროლოგიური საკითხები

20 ივნისი, 12 საათი

თავმჯდომარეები: **ვ. შენგელია, რ. ჭკადუა**

- თ. ბურჭულაძე, ზოგი გამოთქმის სინტაქსური თავისებურებისათვის ზეპირ მეტყველებაში
- ე. გაზდელიანი, ლექსემა **ჯილე** ქართველურ ენებში

- თ. ვ ა შ ა კ ი ძ ე, „და“ კავშირით შეერთებული დანართები სახელითა და გვარით წარმოდგენილ საზღვრულთან
- მ. ლ ა ბ ა რ ტ ყ ა ვ ა, მიმართების გამოხატვის ერთი სახეობისათვის ქართულში
- რ. ლ ო ლ უ ა, კლიტიკა კავკასიის ალბანურ ენაში
- თ. ტ ე ტ ე ლ ო შ ვ ი ლ ი, ფრჩხილების ფორმისა და ფუნქციისათვის
- ვ. შ ე ნ გ ე ლ ი ა, პრერუპტივთა წარმომავლობისათვის ადიღური ენის დიალექტებში
- მ. ჩ ა ჩ ა ნ ი ძ ე, პროლოგისა და ეპილოგის ანტინომისათვის შოთა ნიშნიანიძის ბელეტრისტულ პოემაში „ქვეშევრდომები“
- ც. ჯ ა ნ ჯ ღ ა ვ ა, ზმნურ ფუძეთა მონაცვლეობისათვის მეგრულში

მახვილი ხუნძურ-ანდიურ-დიდოურ ენებში

ჩვენს ხელთ არსებული სათანადო ემპირიული მასალის ანალიზი და სპეციალური ლიტერატურის განხილვა გვარწმუნებს, რომ ამჟამად ხუნძურ-ანდიურ ენებში სიტყვათმახვილი მეტწილად სუსტი დინამიკური¹ და არაფიქსირებულია, ზოგ ენაში კი დისტინქციური ფუნქციაც მოეპოვება. კერძოდ, ხუნძურ ენაში მას აქვს სემანტიკური ფუნქცია, მაგ.: რაში „ალაფი“ – რაში „სიტყვა“, მუშრულ „მთები“ – მუშრულ „მთების“ და სხვ.

ხუნძური ენის გარდა, მახვილი ფონოლოგიურად რელევანტურია ბოთლიხურში, ტინდიურში, ლოდობერიულსა და ჭამალურში (ტ. გუდავა, ფ. მაჰომედოვა, ფ. საიდოვა), მაგ.: ბოთლ. მასა „უთხარი!“ – მასა „უთხრა“, ბეტრი „გომური“ – ბეტრი „ხვნა“...; ლოდ. ამი „ლანგარი (ხისა)“ – ამი „ჭამა“, ბახა „დაინგრა“ – ბახა „აიღე, იყიდე“ და მისთ.

საგულისხმოა, რომ ბაგვალურ ენაში ხელშესახებია ისეთი პროსოდიულად დაპირისპირებული მინიმალური წყვილები, რომლებიც ძლიერი და სუსტი მახვილის მატარებლები არიან (ფ. მაჰომედოვა, ს. კომასოვი), მაგ.: ჭარა „უშობელი“ – ჭარა² „თავთავი“, ბალა „განყოფილება“ – ბალა „კიდე, მხარე“ და ა. შ.

ჩვენი ვარაუდით, ძლიერი და სუსტი მახვილის კორელაცია უნდა ასახავდეს მახვილის დასუსტების იმგვარ გარდამავალ საფეხურს, როცა ხდება არქაულის შენარჩუნება და მის გვერდით ახალი მოვლენის გაჩენა. რაც შეეხება დიდოურ ენებს, თავისი რომელობით სუსტი დინამიკური, არაფიქსირებული სიტყვათმახვილი გვხვდება (შდრ.

¹ ცალკეულ ენებში (მაგ., ანდიურში) იმდენად სუსტია, რომ ზოგი მკვლევარი სიტყვათმახვილის არსებობას ანდიურ-დიდოურ ენებში საერთოდ უარყოფს და გამოყოფს მარცვლის ტონს (კიბრიკი, კომასოვი 1990: 321-331). ანდიური მახვილი, სისუსტის გამო, ხშირად ითქვიფება ფრაზის მახვილში (ცერცვაძე 1965: 26). სიტყვათმახვილის გარეშე ენა არ არსებობს (ახვლედიანი 1999: 138), ამიტომ ვერ გავიზიარებთ თვალსაზრისს ოდენ ტონური მახვილის არსებობის შესახებ (ამ საკითხს ექსპერიმენტულად შესწავლა სჭირდება).

² სუსტი მახვილი აღინიშნება სწორი ნახევარხაზით ხმოვნის მომდევნოდ.

ვან დენ ბერგი), რომელიც დისტინქციურ ფუნქციას მოკლებულია, თუმცა ინხოყვარულ და საკუთრივ ბეჟიტურ დიალექტებში მიკვლეულია მისი ფონოლოგიზაციის ცალკეული ფაქტები (ე. ლომთაძე).

ხუნძურ ენაში მახვილის ადგილი განისაზღვრება თავიდან პირველი ან მეორე მარცვლით (შ. მიქაილოვი, არნ. ჩიქობავა, ილ. ცერცვაძე...), თუმცა მიუთითებენ მესამე და მეოთხე მარცვლის მახვილზედაც, მაგ.: ჰაბილარო „არ გავაკეთებ“, უქექერილარო „არ გავიქცევი“. ხუნძური მახვილის ანალოგიურად, ანდიურ-დიდოურ ენათა მეტ წილში შეინიშნება ტენდენცია მახვილის ლოკალიზაციისა პირველ ან მეორე მარცვალზე, რომლებიც უპირატესად დახურულია. მახვილის ადგილის თვალსაზრისით, თუ მხედველობაში არ მივიღებთ ცალკეულ მოდიფიკაციებს, ანდიურ-დიდოური ენები არსებითად ისტორიულ ვითარებას ასახავენ. ხუნძურ ენაში მახვილის მიდრეკილება – დამკვიდრდეს თავიდან ორი მარცვლის ფარგლებში – ინოვაციად უნდა იქნეს მიჩნეული ისევე, როგორც ანდიურ-დიდოურ ენებში სუსტი მახვილი.

საცნაურია, რომ ლოდობერიულ ენაში თანამახვილი სამ- და მეტმარცვლიან სახელებს მრავლობითობის წარმოებისას მოუდის. ძირითადი მახვილი ეცემა მისთვის ჩვეულ მეორე მარცვალს, ხოლო თანამახვილი კი მოეპოვება აფიქსისეულ ხმოვანს, მაგ.: ღადაჭა „მოზვერი“ – მრ. ღადაჭა-ბჟ, უოჭახამა „პაპა“ – მრ. უოჭახამა-ბჟ და სხვ.

დიდოურ ენებშიც ლოდობერიულის ანალოგიური ვითარება გვაქვს იმ განსხვავებით, რომ ძირითადი მახვილი თავმარცვალს მოუდის, ხოლო თანამახვილი – ბოლოდან პირველ ან მეორე მარცვლის ხმოვანს. გარდა ამისა, დასტურდება მუდმივადგილიანი და ცვლადადგილიანი მახვილი, რაც ამ ენათა მახვილის ზოგადი ნიშანია.

ტ. გუდავას მახვილგონივრული დაკვირვებით, ხუნძურში ფუძეგაორმაგებულ ხმაბაძვით (resp. პიქტორულ) ზმნებს მახვილი თავმარცვალზე მოუდით, თუმცა ანალოგიური სტრუქტურის სხვა ზმნებს მახვილი თავიდან მეორე მარცვალზე მოეპოვება, მაგ.: ბაბაზე „ენაბლუობა“, „ენისკიდება“ – ბაბაზე „ხშირად დარტყმა“...

ივარაუდება, რომ თავდაპირველად თითოეულ კომპონენტს თავ-თავისი მახვილი მოეპოვებოდა, მაგრამ ორივე კომპონენტის ერთ მთლიან ოდენობად აღქმის შემდეგ თანამახვილი პირველ შემთხვევაში თავმარცვალზე დამკვიდრებულა, ხოლო მეორე შემთხვე-

ვაში კი – მომდევნოზე. ამის ნათელ ილუსტრაციად შეიძლება ჩაითვალოს კაუზატიური ზმნები, რომლებიც აგრეთვე კომპოზიტური აგებულებისანი (ძირითადი ზმნა+ჰაზიზე „კეთება“) არიან. მახვილი მათ ან ძირითადი ზმნის თავმარცვალზე დაესმის (ყრტიზაზიზე „გაჭრევინება“, „დაჩეხვინება“), ანდა მეორე კომპონენტის თავმარცვალს მოუდის (ყოტიზაზიზე „id.“).

ზემომოყვანილი მონაცემების საფუძველზე ირკვევა, რომ ხუნძური ენის დიალექტებში მახვილი ადგილის მიხედვით რყევას განიცდის. ეს კი გვაფიქრებინებს, რომ რთული ფუძეების შემცველი ზმნებიც და სახელებიც თანამახვილის მქონენი არიან. ამის თქმის საფუძველს გვაძლევს ისეთი ფუძეგაორმაგებული ზედსართავი სახელები, რომელთა უშუალოდ შემადგენელ კომპონენტებს თავ-თავისი მახვილი (პირველს – ძირითადი, მეორეს – თანამახვილი) აქვთ, მაგ.: ბერცი-ბერცინალ „ლამაზ-ლამაზები“, კუდრ-კუდრძალ „დიდ-დიდები“ და მისთ.

ნ ა რ გ ი ზ ა ხ ვ ლ ე დ ი ა ნ ი , ლ ე ლ ა ჩ ო თ ა ლ ი შ ვ ი ლ ი ,
ნ ი ნ ო ჯ ო რ ბ ე ნ ა ძ ე , ი ა მ ზ ე გ ა გ უ ა

ერთი უძველესი ტოპონიმის (Aíα) ისტორიისათვის

ტოპონიმი „აია“ (Aíα) ჯერ კიდევ არგონავტების თქმულების უძველეს ვარიანტებში ფიგურირებს. გარკვეული პერიოდიდან იგი **კოლხეთის (Κολχίς)** სინონიმს წარმოადგენს (აია კოლხეთთან პირველად ჰეროდოტემ გააიგივა).

Aíα, სავარაუდოდ, სახელწოდება **Kύταια**-ს შემადგენელ მეორე კომპონენტს უნდა წარმოადგენდეს. ამავე (**Kύταια**) ძირთან უნდა იყოს დაკავშირებული ქალაქ **ქუთაისის** სახელწოდებაც.

Κύρ ძირის ეტიმოლოგიასთან დაკავშირებით თითქოსდა აზრ-
თა სხვადასხვაობაა (იხ.: **ჰ. ფენრიხისა** და **მ. ჩუხუას** მოსაზრებები);
მაგრამ ჩვენი აზრით, შესაძლებელია ყველა სავარაუდო სემანტიკურ-
რი ვარიანტის დაკავშირება და ერთ ამოსავალ ფუძემდე დაყვანა:
ღობე > შემოდობილი > ნებისმიერი მოცულობის შემოსაზღვრული
ადგილი (კოვზი / ზუდე...) > **ქალაქი** (საზოგადო სახელი) > **კონკრე-**
ტული ქალაქის სახელწოდება).

არც **Αἶα**-ს ეტიმოლოგიასთან დაკავშირებით აქვთ მეცნიერებს
ერთგვაროვანი პოზიცია; იგი არც საერთოქართველურ დონეზე არ
არის აღდგენილი; თუმცა **აია** გვხვდება ქართველურ ენებში შემონა-
ხულ რელიგიურ დღესასწაულებთან დაკავშირებულ ზოგიერთ კომ-
პოზიტიში: მეგრ. **აია-ჯაშა** – *სადიდმარხვო კვირადღის სახელი, რი-*
გით მეხუთესი; სვან. **აია-მიყლადეღ** – *ბზობის წინა კვირადღის*
დღესასწაული.

ჩვენი აზრით, ასევე ძალიან საინტერესოა მიმართებები **აია**
ძირსა და **იაგ-ნანა** ფორმაში დადასტურებულ იდენტური შემადგენ-
ლობის კომპონენტს (**იაგ**) შორისაც. რაც უადრესად მნიშვნელოვანია,
იაგ-ნანა ფორმის მეორე ნაწილი, თავის მხრივ, საქართველოსა და
მედიტარანულ სამყაროში ფართოდ გავრცელებული **ნაყოფიერები-**
სა და სიცოცხლის მფარველი ქალღმერთის, ღმერთების დედის,
დიდი დედის – ქართველურ სინამდვილეში **ნანას** სახელით ცნობი-
ლი – კულტის სახელწოდებასთანაა კავშირში.

როგორც ცნობილია, მთელს მედიტერანულ სამყაროში უპი-
რატესობა ქალურ საწყისს ენიჭებოდა; ფართოდ იყო გავრცელებუ-
ლი ნაყოფიერებისა და სიცოცხლის მფარველი ქალღმერთის,
„**ღმერთების დედის**“, „**დიდი დედის**“ თაყვანისცემის კულტი. ასე-
თები იყვნენ, მაგალითად: **ისიდა/იზიდა** – ეგვიპტეში, **ინანა** – შუამ-
დინარეთში, **კიბელე** – მცირე აზიაში...

დიდი დედის კულტი არც მგელი ქართული სამყაროსთვის
არის „უცხო“. ისტორიულ-კულტურული მონაცემების საფუძველზე
მიიჩნევა, რომ აქ (და ზოგადად, მთელ **კავკასიაში**) უსათუოდ არსე-
ბობდა ქალღვთაების კულტი, რომელსაც პირდაპირი მიმართება
სწორედ სხვა კულტურებში დადასტურებულ დიდი დედის კულ-
ტის ღვთაებასთან აქვს.

რაც შეეხება „**იაგნანას**“ – ეს ძველი ქართული ხალხური ლექს-სიმღერაა, წარმოშობით – წარმართული საკულტო რიტუალის უძველესი საგალობელი. „ნანიანას“ ციკლის სიმღერების მსგავსად „იაგნანაც“ მზისა და ნაყოფიერების ქალღმერთ **ნანას** სახელთან არის დაკავშირებული.

როგორც **ვ. ბარდაველიძე** აღნიშნავს, მნიშვნელოვანი ცნობები **ნანას** შესახებ მოცემულია ქართულ ზღაპრებსა და ლეგენდებში, მისი კულტი კი ვლინდება ჩვენში „ბატონების“ სახელით ცნობილი ინფექციური ავადმყოფობებით (წითელა, ყვავილი...) დაავადებულთა მოვლა-მკურნალობის რიტუალში. ამ ცნობილი ქართული სიმღერების რეფრენს: „**იაგ ნანა, ვარდოვ ნანა, იაგ ნანიანო**“ მეცნიერი ქალღვთაება **ნანას** კულტს უკავშირებს. ბატონების „გასტუმრების“ რიტუალში **დიდი დედა ნანას** ასტრალური ბუნება, მისი მზესთან კავშირი, ავადმყოფის გარშემო წრიული მოძრაობით დასტურდება (იგივე ვითარება გვაქვს ფერხულის ცეკვისასაც); გამოდის, „**იაგნანამ**“ დაკარგა თავისი პირვანდელი ხასიათი და დანიშნულება, დღეს ის ხომ ძილისპირულია; თუმცა მანამდე, რაღაც პერიოდში, მას ბატონების დაავადებების დროს უმღეროდნენ ზავშეგებს. სავარაუდოდ, უკვე ამ პერიოდიდან ფიგურირებს სიმღერაში „ია“ (ყვავილის მნიშვნელობით) და „ვარდი“ – ხსენებული დაავადებებისთვის დამახასიათებელ მუწუკებთან ასოციაციური კავშირით და ბატონების გულის მოსაგებად, ამ გამონაყარის ყვავილებთან შედარებით.

მეტიც, როგორც ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, ეს სიმღერა ადრე ასე შეზღუდული გამოყენებისა არ იყო და მას უფრო ფართო, **ოდისა** და ზოგადი **საგალობლის** სახე უნდა ჰქონოდა... აქედან გამომდინარე, თავდაპირველად აქ „**ია**“ ძირი, სავარაუდოდ, არც აღნიშნავდა ყვავილს... „**ვარდო**“ ფორმა ტექსტში, შესაძლოა, „**ია**“ (*<აია) ძირის ყვავილის სახელად გადააზრიანების შემდგომ და მასთან, უკვე როგორც მცენარის სახელწოდებასთან ასოციაციით, მოგვიანებით გაჩნდა...

აი, ამ შემთხვევაში კი უკვე შესაძლებელია „**იაგ-ნანა**“-ს „**იაგ**“ კომპონენტის „**აია**“ ძირთან დაკავშირება, რასაც შემდგომი ღრმა ინტერდისციპლინური კვლევა-ძიება სჭირდება.

ზოგი გამოთქმის სინტაქსური თავისებურებისათვის ზეპირ მეტყველებაში

ზეპირ მეტყველებას ახასიათებს სინტაქსური და ინტონაციური თავისებურებანი. კერძოდ, ნიშანდობლივია სპეციფიკური სტრუქტურის წინადადებები, რომელიმე კომპონენტისა თუ წევრის გამოტოვება, კავშირების, ნაწილაკების განსხვავებული ფუნქციით გამოყენება და სხვ. ცალკეა აღსანიშნავი ისეთი შემთხვევები, როცა წინადადება შეიცავს მაქვემდებარებელ კავშირს, ე. ი. გარეგნულად თითქოს დამოკიდებულია, მაგრამ მთავარი წინადადება არ მოეპოვება და არც გრამატიკულად ივარაუდება. ასეთი კონსტრუქციები შედგენილია **სწორედ რომ** ან **მართლა რომ** გამოთქმებით, რომლებიც კატეგორიულს ხდის ნათქვამს, ამლიერებს მას. ამგვარივე დანიშნულებით იხმარება ასევე **ზუსტად რომ**, **ნამდვილად რომ** კომპონენტები.

ზოგჯერ დიალოგისას **სწორედ რომ** დამოუკიდებლად, ცალკე გამოიყენება და გამოხატავს რაიმეს დადასტურებას. ეს ვლინდება იმ შემთხვევაში, როცა მოპასუხე ნათქვამზე თანხმობას უფრო ამლიერებს ამ გამოთქმით:

- არ ღირს ასეთი გადაწყვეტილების მიღება.
- **სწორედ რომ**;
- საკუთარ თავზე გავიმარჯვეთ.
- **სწორედ რომ**.

გაბმულ მეტყველებაში თავისებურია **რატომღაც** ზმნისართის გამოყენებაც. ის მიღებულია კითხვით სიტყვაზე **რატომ -ღაც** ნაწილაკის დართვით, რომლის შინაარსიცაა „რღაც მიზეზის გამო“. თუმცა როცა მას **რომ** კავშირი მოჰყვება (ძირითადად ზეპირმეტყველებაში), სხვა შინაარსობრივ-სტილისტიკურ დატვირთვას იძენს – ნათქვამისადმი საპირისპირო დამოკიდებულებას გამოხატავს და არა რღაც მიზეზის გამო რაიმეს გაკეთებას. უფრო მეტიც, გამორიცხავს წინადადებაში ნაგულისხმევ მოქმედებას: **რატომღაც რომ** ეს გამეკეთებინა; **რატომღაც რომ** მართლა მივსულიყავი... ზოგჯერ **რომ**

კავშირის გარეშეც ამავე სტილისტური ფუნქციით გამოიყენება: რატომღაც ეს ეთერში გამომეცხადებინა...

აღსანიშნავია, რომ ამგვარი ინტონაციური შეფერილობისას, რამდენადაც დასახელებული გამოთქმები დაუშლელი ერთეულებია (სწორედ რომ, რატომღაც რომ, ასე რომ...), წერის დროს მძიმით არ გამოყოფა, მეტყველებისას კი შესაბამისი ინტონაცია ახასიათებს.

შესაძლოა, ის დიალოგისას დამოუკიდებლადაც გამოიყენებოდეს **რა** ნაწილაკთან ერთად:

– მართლა რომ მისულიყავი და ასე გეთქვა.

– **რატომღაც რა;**

– ნამდვილად რომ გელიარებინა სიმართლე.

– **რატომღაც რა;**

თავისებურია გამოთქმის **ასე რომ** გამოყენების შინაარსობრივი მხარე – ის დიალოგის დროს ცალკე ხმარებისას გამოხატავს ნათქვამის ერთგვარ შეჯამებას, რომელიც ამავედროულად მოიაზრებს სათქმელის გაგრძელებას:

– ის ავარია ხელოვნური იყო, თუმცა საკმაოდ სუფთად ნამუშევარი ... გამოცდილება გაკლდათ! **ასე რომ...**; ალბათ, იცით ... ვიფიქრე, დროს ვიხელთებ და შევივლი-მეთქი. **ასე რომ...**

ამგვარი შეჯამება უარყოფითი შინაარსისაც შეიძლება იყოს:

– ამ სახლის ქვეშ, ჩემი ვარაუდით, მკვრივ ქანებს არ აფეთქებენ მცირე ზომის მუხტებით. **ასე რომ**, არა.

დასახელებული კონსტრუქციის წინადადებებში **რომ** კავშირისა და **რა** ნაწილაკის გამოყენება ნათქვამის კატეგორიულობისა თუ გაძლიერების გამოხატვის ერთგვარი საშუალებაა.

ლექსება ჯილე ქართველურ ენებში

ქართული **ჯილე** – წყალთაგან გამოფლატული (საბა). ქართულ კილო-თქმათა სიტყვის კონაში შეტანილია **ჯილ-ი** – ქართლური დარანი. წყლისაგან გამოხრამული ადგილი ნაპირზე, სადაც თევზი იმალება, **აჯილავს** – გამოორიყავს. ნარიყი, სადაც გამოორიყავს მდინარე, წყალი რომ მოჯილანს ხის ტოტებს და ნაგავს. ჯილე ის არის მოჯილული ადგილი. **ჯილე** ბალახ-ბულახია, ხე-ტყეა (ქართლ. დიალექტ. ლექსიკონი). **ჯილე** დასტურდება ქართული ენის დასავლურ დიალექტებშიც. წყალში მცენარის ფესვების... ქვეშ გამოთხრილი ღრუ... წყლიდან გამოჭრილი ადგილი (ზემოიმიერული ლექსიკონი). გრძელი ჩირგვი (ლექს.).

ჯილე ტერმინს ყურადღება მიაქცია გ. როგავამ წერილში „ქართველურ ენათა ლექსიკიდან“. დაადგინა მეგრული შესატყვისი: **ონძილე, ონძილე** – დელეში დაგუბებული წყალი, სადაც ბინადრობს თევზი ნაპირზე მდგარ ხეების გამოფლატულ ძირებში. გ. როგავამ აღნიშნა, რომ სამეზარია სვანური შესატყვისი **ჯილე** ტერმინი სვანურშიც არის **ჯელ** ფუძის სახით. განსაკუთრებით ხშირად გვხვდება ზმნურ ფორმებში. **აჯელჷე** ბზ., **აჯელჷე** ბქ., **აჯელე** ლშზ., **აჯელე** ლნტ. – გვის, ხვეტავს. მასდარები: **ლი-ჯელ-ჷე** ბზ., **ლი-ჯელ-ჷე** ბქ., **ლი-ჯელ-ე** ლშზ. **ლი-ჯელ-ე** ლნტ. – დაგვა, დახვეტვა. **ლიცდ ჯანჯელ-ე ძიმ** (ლშზ.) წყალმა გამოხვეტა მიწა. **ნაჯელ** ლშზ., **ნაჯელ**, **ნაჯალ** ლნტ. ნახვეტი. აღსანიშნავია, რომ ცოცხი ლნტ. დიალექტში აღინიშნება ტერმინით **ლჷ-ჯერ**. ხოლო სხვა დიალექტებში გვაქვს: **ლა-ნგჷე** ბზ. **ლა-ნგაჷ** ლშზ. ცოცხი სიტყვასიტყვით სანაგვე. შდრ. ქართ. ნაგავი. **ლაჯელჷა ლანგჷე ესერ დემეგ ვულჷე** (ბქ.) დასაგველი ცოცხი არ გვაქვს.

მე-ჯელ-ჷე ზს., **მე-ჯელ-ე** ლშზ. **მე-ჯელ-ე** ლნტ. მხვეტავი (ის ვინც გვის).

კიდევ ერთი საარქივო დოკუმენტი ოსური ენის ქართულ გრაფიკაზე გადაყვანის შესახებ

ოსური ენა სხვადასხვა პერიოდში სხვადასხვა გრაფიკულ საფუძვლებს ემყარებოდა: ბერძნულს, რუსულს, ქართულსა და ლათინურს. აღსანიშნავია, რომ ოსური ენისათვის რუსული და ლათინური დამწერლობების შერჩევა ყველა შემთხვევაში პოლიტიკურ-იდეოლოგიური მიზეზ-მიზნებით იყო განპირობებული, ხოლო XVIII-XIX საუკუნეებში ქართული დამწერლობის გამოყენებას, ჩვენი აზრით, კულტურულ-საგანმანათლებლო საფუძვლები ჰქონდა, რასაც გადაჭრით ვერ ვიტყვით 1938-1954 წლების პერიოდში ქართული გრაფიკის გამოყენებაზე, ვინაიდან ამ აქციის დაგეგმვისა და განხორციელების ბევრი დეტალი ჯერ კიდევ საკვლევია, თუმცა ოსური საზოგადოების დიდ ნაწილს უყოყმანოდ სჯერა, რომ 1938-1954 წლები „გაქართველების“ ეტაპი იყო.

გასულ წელს მკვლევარმა **ს. ჭაავამ** შსს-ს არქივში გამოავლინა 1938 წლის ოქტომბერში შედგენილი საბეჭდ მანქანაზე აწყობილი რუსულენოვანი ხუთგვერდიანი წერილი, რომლის ადრესატები ყოფილან საკავშირო კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის **ხელმძღვანელი პარტიული ორგანოების განყოფილება** და ბოლშევიკი ფუნქციონერი **გეორგი მალენკოვი**, ხოლო ავტორებად სახელდებიან საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი **კანდიდ ჩარკვიანი** და საქართველოს სსრ-ს სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე **ვალერიან ბაქრაძე** (დოკუმენტის მოწოდებისათვის ს. ჭაავას მადლობას მოვასხენებთ). წერილის ტექსტიდან მრავალი აქამდე უცნობი დეტალი ირკვევა, კერძოდ:

1. წერილის შედგენამდე ცოტა ხნით ადრე სსრკ-ს შინაგან საქმეთა სახალხო კომისარ **ლ. ბერიას** მოსკოვიდან თბილისში გადმოუზღავნია ე.წ. სამხრეთ ოსეთში შედგენილი ანონიმური წერილის ასლი. კ. ჩარკვიანი და ვ. ბაქრაძე პასუხს სწერდნენ არა პირადად ლ. ბერიას, არამედ მასზე მალლა მდგომი პარტიული ინსტანციის უმთავრეს სტრუქტურას – **ხელმძღვანელი პარტიული ორგანოების**

განყოფილებასა და მის იმ მრისხანე უფროს გ. მალენკოვს, ვის კაბინეტშიც ერთი წლით ადრე დააპატიმრეს რეპრესიების ყველაზე აქტიური ფაზის წარმმართველი ნიკოლაი ეჟოვი. წერილის ადრესატების ვინაობა ხაზს უსვამს წამოჭრილი საკითხისადმი პოლიტიკური რეჟიმის განსაკუთრებულ მნიშვნელობას.

2. კრემლში მისული ანონიმური წერილი ეხებოდა ოსური ენის სამხრეთული ვარიანტისათვის ქართული სადამწერლო სისტემის დაკანონებას (გვ. 1). ჩანს, საჩივრის ავტორი წინააღმდეგი იყო იმისა, რომ ოსური ენის ერთი ნაწილი რუსულ ანბანზე გადაიყვანეს, მეორე კი – ქართულზე.

3. წერილის ავტორები აცხადებდნენ: 1923-1937 წლებში ლათინური დამწერლობა არ შეესატყვისებოდა ოსური ბგერების ბუნებას და ძნელი შესასწავლი იყო, რის გამოც მომწიფდა საკითხი მისი უფრო შესაფერისი დამწერლობით შეცვლის შესახებ. ოლქის ხელმძღვანელმა ორგანოებმა დაავალეს ე.წ. სამხრეთ ოსეთის განათლების სახალხო კომისარიატს, მეცნიერ მუშაკთა ჩართულობით მოემზადებინა საკითხი და შეედგინა ახალი ანბანის პროექტი (გვ. 1).

4. ავტორები ხაზს უსვამდნენ ახალი დამწერლობის განხილვაში ოსი მოსახლეობის ფართო მასების – მეცნიერთა, პედაგოგთა, მწერლების, საოლქო ორგანიზაციების ხელმძღვანელების, გლეხებისა და მუშების ჩართულობას. დისკუსია მიმდინარეობდა ოსურენოვან გაზეთ „კომუნისტის“ ფურცლებზეცო (გვ. 1-2).

5. ოლქში ჯერ საჯაროდ განხილულა ანბანის შეცვლა ორიდან ერთ-ერთი გრაფიკით: რუსულით ან ქართულით. ავტორები აღწერდნენ, თუ რა არგუმენტებს ემყარებოდა ფუნქციონერთა, მეცნიერთა და მოსახლეობის არჩევანი ქართული დამწერლობის სასარგებლოდ:

- **ქართულ დამწერლობას შეუძლია ზუსტად და სრულად ასახოს ოსური ბგერები:** ოსურში 38 ბგერაა. მათგან 33 გადმოიცემა ყველა ახლანდელი ქართული ასოს გამოყენებით, 4 აისახება ძველი ქართული დამწერლობის ასოებით [ა, ვ, გ, ჭ], მხოლოდ ერთი ბგერა აღინიშნა მოდიფიცირებული „ა“ ასოთი [უმლაუტიანი ა – გ.გ.] (გვ. 2-3).
- ტექსტში წერია, წერილს ერთვის ოსური დამწერლობის ორი პროექტის შედარებითი ცხრილებიო, თუმცა ისინი წერილს არ ახლავს: ერთ ცხრილში შეტანილი ყოფილა რუსულ საფუძ-

ველზე შედგენილი ვარიანტი, მეორეში კი – ქართულ ანბანზე დამყარებული პროექტი. კ. ჩარკვიანი და ვ. ბაქრაძე დასძენდნენ, ამ პროექტების გაცნობა მკაფიოდ წარმოაჩინეს ქართული დამწერლობის უპირატესობას: მისი მეშვეობით ოსური ენის ყოველი ბგერა გადმოიცემა თითო ასოთი, რომლებსაც ქართულ ანბანში აქვთ იგივე მნიშვნელობები. ამით თავიდანაა აცილებული ასოსზედა ნიშნებისა (მაგ., **Տ, Զ...**) და წყვილი ასოების გამოყენება (ადრინდელ ოსურ დამწერლობაში **Аь, Ць, Чь, Дж, Гь, Кь, Пь, Хь...**), რომლებიც აბრკოლებენ წერას და დამწერლობის შესწავლას (გვ. 3).

- გარდა სამეცნიერო არგუმენტებისა, ოსურ გაზეთ „კომუნისტიდან“ მოხმობილია ორი ფაქტი (გთავაზობთ ჩვენეულ თარგმანს რუსულიდან): 1. „ამასწინათ გავემგზავრე ყიზლარში ცხვრის ფარების მდგომარეობის შესამოწმებლად, – წერს ამხანაგი სანაკოევი, – ჩემი იქ ყოფნის დროს მწყემსებს შინიდან 19 წერილი მოუვიდათ, რომელთაგან 3 წერილი ლათინური ასოებით იყო ნაწერი, ხოლო 16 წერილი – ქართული ასოებით ოსურ ენაზე“ (გაზ. „კომუნისტი“, 1938 წლის 9 ივნისი. 2. „...სოფელ ძაღინას კოლმეურნე რაზდენ თედევმა გაზეთის მუშაკებს განუცხადა: „რამდენიც უნდა მასწავლოთ ლათინურად წერა, გინდაც თვალებზე მიმაბათ ეს ასოები, მაინც ვერასოდეს შევძლებ მათ შესწავლასა და დამახსოვრებას. მე ვიცი ქართული ანბანი და მასწავლეთ ქართული ასოებით“ (გვ. 3-4).

6. პირველი გადაწყვეტილება ოსური ენისათვის ქართული დამწერლობის დამტკიცების შესახებ 1938 წლის 1 ივლისს მიუღია პარტიის საოლქო კომიტეტს, ეს გადაწყვეტილება კი იმდროინდელი წესის შესაბამისად დაუმტკიცებია საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტს 1938 წლის 5 აგვისტოს.

7. ოსური ენისათვის ქართული დამწერლობის საფუძველზე ახალი დამწერლობის პროექტის შედგენაში მონაწილეობა მიუღია სსრკ-ს მეცნიერებათა აკადემიის ნ. მარის სახელობის ენის, ისტორიისა და მატერიალური კულტურის ინსტიტუტს (გვ. 4-5). ინსტიტუტში კი ამ მიმართულებით მუშაობდა ოსური ენის აღიარებული მკვლევარი, აკად. **გიორგი ახვლედიანი**, რომელიც საანალიზო ტექსტის ლინგვისტური ნაწილის ავტორი უნდა იყოს.

სამწუხაროდ, წერილში არაფერი წერია, თუ როდის განიხილეს და დაამტკიცეს ეს პროექტი **სსრკ-ს ხალხთა ენებისა და დამწერლობის ცენტრალურ სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში** (ამჟამად რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის ენათმეცნიერების ინსტიტუტი) და/ან **ნ. მარის სახელობის ენისა და აზროვნების ინსტიტუტში, ახალი ანბანის საკავშირო ცენტრალურ კომიტეტში, სსრკ-ს ცაკის ეროვნებათა საბჭოში, საკავშირო კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის განყოფილებებში, საორგანიზაციო ბიუროსა და პოლიტიბიუროში**. ამ დაწესებულებათა მხრიდან კონტროლისა და განხილვადამტკიცების გარეშე ახალ დამწერლობათა თუ არსებულის მოდიფიცირებულ ვარიანტთა პრაქტიკულად დანერგვა შეუძლებელი იყო. თუმცა გასულ წელს სხვა საარქივო დოკუმენტებზე დაყრდნობით გაირკვა, რომ **კომპარტიის ჩრდილოეთ კავკასიის სამხარეო კომიტეტი** მისი მდივნის **ეგიმ ევდოკიმოვის** ხელმოწერილი შუამდგომლობით კრემლს სთხოვდა, რამდენიმე ენის დამწერლობებში ცვლილებათა შეტანას და აღნიშნავდა, ოსური ენის საკითხი სამხრეთელ ოსებს უკავშირდება და საქართველოსთან შეთანხმება საჭიროო (თ. გვანცელაძე. ცნობები ყაბარდოული დამწერლობის კირილიზაციის შესახებ და მათი მნიშვნელობა. არნ. ჩიქობავას სახ. ენათმეცნ. ინსტ. 82-ე სამეცნ. სესია, თბ., 2023, გვ. 14). კიდევ უფრო მნიშვნელოვანია 1938 წლის 11 და 17 მარტს საკავშირო კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში სსრკ-ს ხალხთა ენებისა და დამწერლობის ცენტრალური სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორ **ვართან პეტროსიანის** ორი მოხსენებითი ბარათი და დადგენილების პროექტი ოთხი ენის, მათ შორის ოსურის დამწერლობის შეცვლის შესახებ. ვ. პეტროსიანი დადგენილების პროექტში ოსურ ენასთან დაკავშირებით წერდა, ოსური ენა უნდა გადაყვანილ იქნეს რუსულ გრაფიკაზეო, მაგრამ საკავშირო კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის საორგანიზაციო ბიურომ დადგენილების პროექტის ტექსტი უცვლელად დაამტკიცა, მხოლოდ ფრაზა „მიეცეს თანხმობა ყირიმული თათრული, **ოსური (осетинский)**, მოლდავეური და შორული დამწერლობების რუსულ ანბანზე გადაყვანას“ შეცვალა ასე: „მიეცეს თანხმობა ყირიმული თათრული, **ჩრდილოოსური (северо-осетинский)**, მოლდავეური და შორული დამწერლობების რუსულ ანბანზე

გადაყვანას“-ო, ანუ კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის საორგანიზაციო განყოფილებამ **თვითნებურად გახლიჩა ოსური ენა და შექმნა ახალი „ჩრდილოოსური ენა“, რომელიც მიაბა რუსულ დამწერლობას. უდავო გვგონია, რომ კრემლი საქართველოში მცხოვრები ოსების ენას „სამხრეთულ ოსურად“, ანუ სხვა ენად განიხილაგდა და იგი ქართულ დამწერლობას დაუკავშირა** (გ. გვანცელაძე. უცნობი მასალები ოსური ენის ქართულ დამწერლობაზე გადაყვანის შესახებ. არნ. ჩიქობავას სახ. ენათმეცნ. ინსტ. 82-ე სამეცნ. სესია, თბ., 2023, გვ. 17).

ამრიგად, კ. ჩარკვიანისა და ვ. ბაქრადის **წერილში აღწერილი ამბები შედეგია კომპარტიის დეზინტეგრაციული პოლიტიკისა:** ოსური ენის ერთი ნაწილი ჩრდილოეთ კავკასიაში გავრცელებულ ყველა დამწერლობიანი ენის მსგავსად რუსულ დამწერლობაზე გადაიყვანეს, ხოლო საქართველოში გავრცელებულ ოსურ და აფხაზურ ენებს ქართულ დამწერლობაზე გადაყვანის გამო გამონაკლისი პირობები შეუქმნეს, რითაც გაჩნდა ეჭვი: როცა ყველა სხვა მოკავშირე რესპუბლიკაში მცხოვრებ უმცირესობათა და თვით ამ რესპუბლიკების სატიტულო ხალხთა 70-მდე ენა გადაჰყავთ ლათინურიდან რუსულ დამწერლობაზე, მხოლოდ სამხრეთელი ოსებისა და აფხაზების ენები რა მიზნით გადაიყვანეს მაინცდამაინც ქართულ დამწერლობაზე? ოს ინტელიგენციას, გლეხებსა და მუშებს არავინ განუმარტავდა, რომ ეს გამონაკლისი ოსებისა და აფხაზების ქართველებისადმი დასაპირისპირებლად გაკეთდა და არა უმცირესობათა „გასაქართველებლად“, როგორც ეს ზედაპირულად ჩანს.

აფხაზი ავტორის აქამდე უცნობი თვალსაზრისი ქართული დამწერლობის უპირატესობათა შესახებ

საბჭოთა კავშირში 1936 წელს დაიწყო და 1941 წელს დასრულდა 20-იან წლებში 70-მდე ენისათვის ლათინური დამწერლობის საფუძველზე შექმნილი ანბანების ცვლა. ათეულობით საარქივო დოკუმენტი ადასტურებს, რომ ლათინიზაცია იყო ლენინ-სტალინის მსოფლიოს ენების შერწყმის კონცეფციის პრაქტიკულად განხორციელების პირველი ეტაპი: მთელ მსოფლიოში სოციალიზმის გამარჯვების შემდეგ ეტაპობრივად უნდა გამქრალიყო ეთნიკური და ენობრივი სხვაობანი და საბოლოოდ კაცობრიობას უნდა ელაპარაკა ერთ (ინგლისურ), ანდა ორ (ინგლისურ და რუსულ) ენებზე. ლათინიზაციის მთავარი მიზანი ენათა შერწყმის დაჩქარება იყო.

1936 წელს დაიწყო უკვე ლათინიზებული ენების რუსიფიკაცია, უკიდურესად მცირერიცხოვანი ეთნოსების ენებს კი საერთოდ გაუუქმდა დამწერლობა. ამ კონტექსტში გამონაკლისი იყო 1937-1938 წლებში საქართველოში აფხაზური და ოსური ენების გადაყვანა არა რუსულ, არამედ ქართულ გრაფიკაზე, რაც აფხაზთა და ოსთა გაქართველების უტყუარ ფაქტად შეიძლება აღიქვას მავანმა, მაგრამ დოკუმენტური მასალა საქმეს სხვაგვარად წარმოგვიჩენს. მოხსენებაში ერთი განსაკუთრებული მნიშვნელობის საარქივო საბუთის შინაარსს წარმოვადგენთ.

საანალიზო დოკუმენტი დაცულია საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის არქივში, იმ ფონდში, რომელშიც შედის 30-იან წლებში არსებული სსრკ მეცნიერებათა აკადემიის საქართველოს ფილიალის ნ. მარის სახელობის აფხაზური კულტურის ინსტიტუტის დოკუმენტაცია (საბუთი გამოავლინა და ასლი გადმოგვცა ფილოლოგიის დოქტორმა ს. ჭავჭავაძემ). დოკუმენტი რუსულენოვანია, არ უზის თარიღი. იგი მანქანაზეა აკრეფილი, მოიცავს 7 გვერდს. სათაურად აწერია: „**Об абхазском алфавите**“ („აფხაზური დამწერლობის შესახებ“). დოკუმენტში არ წერია ავტორის გვარი, თუმცა ზოგი დეტალი მიგვანიშნებს, რომ იგი პირველი პროფესიონალი აფხაზი ენათმეცნიერის, დასახელებული ინსტიტუტის დირექტორის, აფხა-

ზეთის ახალი ანბანის კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილის **არსენ შაშხას** (1900-1938 წწ.) დაწერილია, ხოლო ადრესატებად მაღალი ჩინის მოხელეები უნდა ყოფილიყვნენ.

ავტორი აცხადებს, რომ კულტურის ზრდასა და აფხაზური ენის განვითარებაში მუხრუჭის როლს ასრულებს აფხაზური ენის ლათინიზებული დამწერლობა, რომელიც შემოღებულია კავკასიის ენათა და, კერძოდ, აფხაზური ენის სპეციფიკის გაუთვალისწინებლად. ამ განცხადებას მოსდევს **მკვეთრად უარყოფითი შეფასება** ლათინიზაციის იდეოლოგიების **ნიკოლაი იაკოვლევისა და ევგენი პოლიგანოვის ჯგუფის** საქმიანობისა და ზოგადად ინდოევროპეისტიკისა: მათ, ავტორის სიტყვით, ხელი შეუწყვეს აფხაზური ენისათვის **გამოუსადეგარი** ლათინიზებული დამწერლობის შემოღებას. 9 წლის განმავლობაში (ანუ 1928-1937 წლებში) ცოტა ვინმემ თუ ისწავლა კითხვა დედაენაზე იმიტომ, რომ თვით სისტემა ვერ უძლებს კრიტიკასო, წერს ავტორი.

თავისი პოზიციის გასამყარებლად ავტორი იმოწმებს ახალი ანბანის საკავშირო ცენტრალური კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე **ჯელალ-ედ-დინ კორკმასოვის** მიერ ჟურნალში „რევოლუცია და დამწერლობა“ („Революция и письменность“) გამოქვეყნებულ თვითკრიტიკას კომიტეტის შეცდომების გამო: „...ჩვენ მოვწყვეტეთ დამწერლობა ორთოგრაფიისაგან და თვით ენისაგან ტექნიკის (იგულისხმება სასტამბო და პოლიგრაფიული ტექნიკა – თ.გ.) ინტერესების გამო, რის შედეგადაც ჩვენ მიერ შექმნილ დამწერლობებს აქვთ ხარვეზები, რომლებიც ამნელებენ მათ ათვისებას მშრომელთა მიერ და სიძნელეებს უქმნიან პოლიგრაფიულ ბაზას“.

ავტორი 1937 წლის მაისში სოხუმში გამართულ აფხაზეთის პარტიული ორგანიზაციის XV კონფერენციაზე გამოთქმულ კრიტიკასაც იმოწმებს: **სწორი და დროული** იყო კონფერენციაზე ნათქვამი, რომ **აფხაზური დამწერლობის 9-წლიანმა ოპტიმიზაციამ წარმოაჩინა ამ ანბანის სრული უფარგისობა**, რის გამოც კონფერენციამ მიზანშეწონილად სცნო აფხაზური ენის გადაყვანა ახალ დამწერლობაზე, რომელიც უნდა დაემყაროს ქართული ანბანის მოხაზულობასო.

შემდგომ ავტორი წარმოადგენს აფხაზური ენისათვის დამწერლობათა შექმნის მოკლე ისტორიას და იმასაც იხსენებს, რომ XIX საუკუნის 60-იან წლებში, როცა პ. უსლარი, ი. ბართოლომეი და

სხვები მიიჩნევდნენ, რომ ქართული დამწერლობა კავკასიური ენებისათვის ყველაზე სრულყოფილი და უნაკლო იყო, ამ ენებს, მათ შორის აფხაზურსაც, დამწერლობები მაინც რუსული გრაფიკის საფუძველზე შეუქმნეს რუსეთის ხელისუფლების ინტერესების გამო, თუმცა **ქართული დამწერლობა ამ ენათა ფონეტიკას ყველაზე უკეთ შეესაბამებაო.**

ავტორი **ბრალს სდებს აფხაზეთის განათლების სახალხო კომისარიატის ხელმძღვანელობას ქართველი ხალხისადმი ნაციონალისტურ დამოკიდებულებაში** და წერს, მიუხედავად იმისა, რომ იაკოვლევ-პოლივანოვის დამწერლობა სრულებით არ შეესაბამებოდა აფხაზური კულტურის განვითარების მოთხოვნებს, განათლების სახკომატს არ შეეძლო უარი ეთქვა ლათინიზებულ ანბანზე და დაესვა საკითხი მის ნაცვლად აფხაზური ენისათვის ბევრად უფრო დახვეწილი ქართული გრაფიკის შემოღების შესახებო.

ამის შემდგომ წარმოდგენილია ავტორის მოსაზრება იმაზე, **თუ რა კონკრეტული უპირატესობა აქვს ქართულ დამწერლობას:**

1. ორი ხალხის ისტორიული სოციალურ-ეკონომიკური კავშირები ასახულია მათი ენების სტრუქტურულ ერთობაში, განსაკუთრებით ფონეტიკაში. ამ ხალხთა კულტურული და ენობრივი კავშირის აუცილებლობა მომავალშიც შენარჩუნდება.

2. **ქართულ ენაში და შესაბამისად ქართულ დამწერლობაშიც არის ყველა ის ბგერა, რაც მოეპოვება აფხაზურსაც, 14 თავისებური ბგერის გარდა.** ყველა დანარჩენი ბგერა აქვს ორივე ენას, მაგრამ არა აქვთ ლათინურ და რუსულ ენებსა და მათ დამწერლობებს. ამრიგად, ახალ აფხაზურ დამწერლობაში საჭირო იქნება მხოლოდ 14 გრაფემის დამატება. ამათ გარდა აუცილებელია კიდევ ორი ასო ე.წ. ნახევარხმოვნების აღსანიშნავად.

3. ევროპულ დამწერლობებთან შედარებით **ქართული დამწერლობის უპირატესობა ისიც არის, რომ მას არა აქვს მთავრული ასოები, რაც ამცირებს აფხაზურ დამწერლობაში ასოთა სიმრავლეს და დიდი მნიშვნელობა აქვს საბეჭდი ტექნიკის დასახვეწად** (იგულისხმება საბეჭდი მანქანისა და სასტამბო ლინოტიპის კლავიატურაზე ასოთა განთავსების პრობლემა).

4. ტექსტის ავტორი **ყველაზე მნიშვნელოვანს** უწოდებს იმას, რომ **აფხაზური ენის გადაყვანა ქართულ გრაფიკაზე ხელს შეუწყობდა აფხაზეთში მცხოვრებ აფხაზ და ქართველ ბავშვებს, ადვილად**

შეესწავლათ ერთმანეთის ენები: აფხაზ ბავშვს დედაენაზე დამწერლობის შესწავლა ავტომატურად შეესწავლის უკლებლივ ყველა ქართული ასოს კითხვასაც, ხოლო ქართველ ბავშვს ქართულად წერაკითხვის სწავლის მერე ეცოდინება აფხაზურის ასოთა უმრავლესობა. ამ გზით ერთმანეთის ენების შესწავლა რამდენიმე თვით შემოკლდება.

ბოლოს ტექსტის ავტორი ჩამოთვლის **სამ უმთავრეს მოთხოვნას ახალი ანბანისადმი:**

- ქართული დამწერლობიდან უნდა გამოვიყენოთ ამჟამად მოქმედი ყველა ასო.
- ბგერების ერთმანეთისადმი მიმართება უნდა აისახოს ახალ ასოთა სისტემების მიმართებებში ნ. მარის „ანალიზური“ დამწერლობის პრინციპების მსგავსად.
- ქართული ანბანიდან აფხაზურში უნდა გადმოვიტანოთ ხმარებიდან გასული ის ასოებიც, რომლებიც გამოდგება ზოგი აფხაზური ბგერის გადმოსაცემად (იგულისხმება **ა, ჯ, გ, ჭ**).

იქვე ავტორი აცხადებს, **ჩვენი შედგენილი პროექტი** უპასუხებს სამივე ამ მოთხოვნასო, რაც იმას ნიშნავს, რომ **ამგვარი პროექტი უკვე მზად ყოფილა**, მაგრამ ტექსტიდან არ ჩანს, რომ ის ოფიციალურად დამტკიცებული იყო. ავტორი წერს: გამოვიყენეთ ქართული დამწერლობის ყველა ამჟამინდელი ასოც და ხმარებიდან გასული ზოგი ასოც, ხოლო იმ შემთხვევებში, როცა ქართულ დამწერლობას არ მოეპოვება ზოგი აფხაზური ბგერის შესაბამისი ასო, ვიყენებთ დამატებით ნიშნებს (იგულისხმება ლაბიალიზაციის აღმნიშვნელი წრე და ინტენსივობის ნიშანი), რომლებიც **არ არღვევენ ქართული დამწერლობის სისტემასა და სტილს, ამასთანავე შესაძლებელს ხდიან ზუსტად გადმოიცეს ყველა აფხაზური ბგერა**.

რაკი ახალი აფხაზური დამწერლობა დამტკიცდა სოხუმში 1937 წლის 4-5 დეკემბერს გამართულ სპეციალურ თათბირზე, ა. ჰაშბა დაუპატიმრებიათ 2 დეკემბერს, ხოლო იმავე წლის 21 აგვისტოს აფხაზური კულტურის ინსტიტუტის მიერ შედგენილი პროექტი მან საექსპერტიზოდ თბილისში გადმოუგზავნა ა. შანიძეს, ვვარაუდობთ, რომ საანალიზო დოკუმენტი დაწერილია 1937 წლის ზაფხულში.

ამ დოკუმენტის ავტორად არსენ ჰაშბას მისაჩნევად გადა-
მწყვეტ გარემოებად მიგვაჩნია ის, რომ ტექსტში მნიშვნელოვან არ-
გუმენტად მოხმობილია ჩრდილო-დასავლეთ კავკასიის ენათა მაგა-
ლითი და ისიც, რომ ა. ჰაშბა აფხაზური კულტურის ინსტიტუტის
სახელით ა. შანიძისათვის გაგზავნილ ოფიციალურ წერილშიც და
აქაც ახსენებს აფხაზური კულტურის ინსტიტუტის მიერ შედგენილ
და უკვე არსებულ პროექტს. მთავარი კი მაინც ისაა, რომ მოყვანილი
ტექსტი აშკარად ენათმეცნიერის დაწერილია და 1937 წლის 4-5 დე-
კემბრის თათბირის ოქმებთან ერთად გვიდასტურებს იმ მოსაზრე-
ბას, რომ აფხაზურ ინტელიგენციაში არც ისე ცოტანი იყვნენ აფხა-
ზური ენისათვის ქართული გრაფიკის გამოყენების მომხრეები.

ჩვენი აზრით, **აფხაზური ენა ქართულ დამწერლობაზე გადა-
იყვანეს დაახლოებით იმავე სცენარით, რაც ოსური ენისათვის დამ-
წერლობის შერჩევის დროს გამოიყენეს, როცა ოსი ხალხის გახლეჩის
მიზნით ჩრდილოელ ოსებს რუსული დამწერლობა შეურჩიეს, ხოლო
სამხრეთელები ქართულ ანბანზე გადაიყვანეს** (იხ.: გ. გვანცელაძე.
უცნობი მასალები ოსური ენის ქართულ დამწერლობაზე გადაყვანის
შესახებ. ენათმეცნ. ინსტ. 82-ე სამეცნ. სესია, 2023, გვ. 15-18): ჩვენს
ხელთ არსებული დოკუმენტები გვიდასტურებენ, რომ არსებობდა
**აფხაზთა და აბაზთა ენობრივი გაერთიანების იდეა, რომლის ერთ-
ერთი ინიციატორი ა. ჰაშბა იყო. ამ იდეის საპირისპიროდ 1938 წელს
აბაზური ენა გადაიყვანეს რუსულ დამწერლობაზე (კირილიცაზე),
ხოლო აფხაზური – ქართულ ანბანზე.** ამ გზით სამი მიზანი აისრუ-
ლა კომუნისტურმა რეჟიმმა:

1. მოსპევს აფხაზთა და აბაზთა ენობრივ და დამწერლობის
დონეზე გაერთიანების საფუძველი;

2. დაიწყო აბაზების გარუსების დაჩქარებული პროცესი: და-
მწერლობაში შეიტანეს უკლებლივ ყველა რუსული ასო, მიუხედა-
ვად იმისა, აქვს თუ არა აბაზურ ენას შესაბამისი ბგერები; აიკრძალა
რუსიზმების, ინტერნაციონალიზმებისა და ნასესხებ საკუთარ სა-
ხელთა წერა რუსულისაგან განსხვავებული ფორმით. ამ ხერხით
აბაზურ ენაში დაინერგა ის ბგერები და ბგერათა კომპლექსები, რომ-
ლებიც მას არ მოეპოვებოდა: **ჟ, ზ, ჯ, ზ, ჰ, ა**, აგრეთვე რბილი თანხმოვ-
ნების ერთი ჯგუფი. ენაში გაჩნდა რუსულის მსგავსი წესი, როცა
იწერება ერთი და იკითხება სხვა...;

3. აფხაზთა დიდ ნაწილს ჩაუნერგეს აზრი, რომ ქართული დამწერლობის გამოყენება მათი გაქართველების მიზნით გადაწყდა თბილისში, თუმცა ამგვარი საკითხები, როგორც არსებული დოკუმენტები აჩვენებენ, რეალურად იგეგმებოდა და წყდებოდა მხოლოდ მოსკოვში, პარტიის ცენტრალურ კომიტეტში, თუმცა იდგმებოდა „სპექტაკლები“, რომ შექმნილიყო შთაბეჭდილება, თითქოსდა ლათინიზებული დამწერლობების ცვლა ყველა მოკავშირე რესპუბლიკაში, ავტონომიურ რესპუბლიკებსა და ავტონომიურ ოლქებში რატომღაც გულისხმობდა ლათინური გრაფიკის შეცვლას **მაინცდამაინც რუსული ანბანით** და **„ინიციატორები“ მუდამ პერიფერიები იყვნენ და არა მოსკოვი**. უადგილოა იმის სერიოზულად გაფიქრებაც კი, რომ 70-მდე ლათინიზებული ენიდან არცერთზე მოლაპარაკეთნოსს „არ გასჩენია სურვილი“, აღედგინა არაბული, ძველულიერული, ძველმონღოლური, ან ებრაული დამწერლობა.

ლ ე ლ ა გ ი გ ლ ე მ ი ა ნ ი, რ ო ე ნ ა ჭ კ ა დ უ ა

ჰიდროპელატივი სარაგ „წყარო“ სვანურ მიკროჰიდრონიმებში

ქართველ მეცნიერთა მიერ დადგენილია, რომ ქართველური ტოპონიმური სისტემა ზოგადქართველურია და, ამავე დროს, მკაცრად ტერიტორიული. თითოეულ ქართველურ ენას მოეპოვება თავისი ტოპონიმური ქვესისტემა.

„სვანური ტოპონიმის“ (ა. ჭკადუა) იძლევა სვანური ტოპონიმების თავისებურებების შესწავლის საშუალებას (ქართული და მეგრული სათანადოდ არის შესწავლილი და გაანალიზებული სპეციალისტთა მიერ).

ერთ-ერთ საინტერესო სფეროს ტოპონიმის კავშირში წარმოადგენს ჰიდროლექსიკა.

1. სვანურ ენაში უხვად არის წარმოდგენილი ჰიდრონიმული მასალა, რაც განპირობებულია აღნიშნული რეგიონის რელიეფური სპეციფიკით. დიდი თუ პატარა მდინარეები, შენაკადები, ლელე-ნაკადულები, მჟავე წყლები და უამრავი პატარ-პატარა ტბები სახელდებულია ადგილობრივ მცხოვრებთა მიერ.

დასტურდება ერთი რიგი ჰიდროაპელატივების (**ლიც/ნიც**, „წყალი“, **ჭალაი** „ჭალა“, **ტუბი** „ღელე“, **სარა/წგ** „წყარო“ და სხვ.), რომლებიც გამოიყენება ძირითადი მნიშვნელობით, მაგრამ, ამავე დროს, გარკვეული, ნაგულისხმევი ობიექტის აღსანიშნავად. „ასეთ სახელებს უჭირავთ საშუალო ადგილი საზოგადო სახელსა და ტოპონიმთა კლასს შორის“ (პ. ცხადაია).

2. განვიხილოთ **სარა/წგ** „წყარო“-ს ადგილი ჰიდროტოპონიმებში.

როგორც ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში ვკითხულობთ **წყარო** – მიწისქვეშა წყლის ნაკადი, ამოხეთქილი ზედაპირზე მიწიდან ან კლდიდან გამომდინარე წყალი. სვანეთში იშვიათია სოფელი, სადაც **სარაგ** „წყარო“ არ მოდიოდეს და არ იყოს აღნიშნული ამ ტერმინით.

მან.: **სარა/წგ** სასმელი წყალი, წყარო სახელობით ბრუნვის ფორმით – სოფ. მელეში (ლნტ.) სოფ. ბავარი (ლნტ.), სოფ. ივარი (ზს.) და სხვა.

ნათ. ბრ-ის ფორმით: **სარგჷშ** „წყაროსი“ ცხუმარი (ზს.); სოფ. **გული** ზს. სოფ. არცხელი ზს.

მრავლობით რიცხვში: **სარგალ** წყაროები სოფ. ახალშენი ქს.; **სარაგალ** ს. ბაბილი ქს. **სარგალ** ს. ლახუშდი ზს., სიდიანარი ზს.

სარაგ კნინობითს ფორმით: **სარგვლ** „პატარა წყარო“, სოფ. ვედი ზს. სოფ. ნაკი ზს, სოფ. დევრა ზს.

სარგვლწრ ← სარაგ-ვლ-წრ, პატარა წყაროები სოფ. ვადში ზს., სოფ. ჩვიბიანი ზს.

სარგილ სოფ. არცხელში, დარჩა მხოლოდ წყაროს სახელი. წყარო აღარც არის.

3. საგანგებოდ უნდა აღინიშნოს, რომ მართალია **სარაგ** ძირითადად **წყაროს** აღნიშნავს, მაგრამ, ამავე დროს, სათიბის, ყანის, სამოვრის, ტყის და სხვა ობიექტების სახელადაც დასტურდება.

ასე მაგალითად, **სარაგ** – სათიბი სოფ. **ლახამულაში** ზს. **ყანა** მდინარე **ჩოლშურას** მარცხენა მხარეს.

სარაგიელ – სათიბები სოფ. **მამი**, ქს, **სარაგაღლ** – სათიბები, სოფ. **ყარიშში** ქს.; სამოვარი სოფ. **ზაბილში** ქს. **სარაგაშ** „წყაროსი“ სოფ. **მელურა** ქს.

ადგილის სახელია **სარგარობ**, სათიბი, მთქმელი განმარტავს, რომ აქ ბევრ ადგილას ამოდის წყარო და ამიტომ დაერქვა ეს სახელი. სოფ. **ქედში** მოედინება წყალი, ღელეა წყართი.

იქ სადაც სათიბი, სამოვარი ან ტყე სახელდებულია **სარაგ** სახელით, ყველგან შორიახლოს მოედინება ან მოედინებოდა წყარო.

4. აბზ. ლექსემა **სარა/აგ** მონაწილეობს რთული ტოპონიმების წარმოქმნაში. მსაზღვრელის როლში, **სარაგლამზერა** (წყარო სალოცავი) „წყარო, სათიბი, სოფ. **დავბერში**; **სარაგამოლ** – ყანა (წყარო მინდორი) სოფ. **წანაბში** ქს. წყაროც მოედინება. **სარაგა ნაკ** (წყარო დაბლობი, სახნავი) სოფ. **გულიდში** ქს. ტყეცაა, ვაკე და წყაროც.

სარაგაშ ლეცხუმერ (წყაროს სარცხილე) ტყე **ვედი** ზს.

სარგი ლარაღ (წყაროს მინდვრები) სათიბები. **ლაშთხვერში** ზს.

აბზ. სარაგ, როგორც საზღვრული:

რჭუმუჭშ სარაგ – (კურდღლის წყარო) კლდეა, სადაც წყარო მოედინება და კურდღელიც ბლომად იცის. სოფ. ფარი ზს. **მგეხი სარაგ** ცივი წყარო. კალდე ზს.

თითქმის ასეთივე სურათს გვიჩვენებს სხვა ჰიდრონიმული ტერმინები **მაჩხაფ** „ჩანჩქერი“, **ლიგ/ნიც** „წყალი“ **სგიმ** „მჟავე წყალი **მორელ** „მჟავე წყალი“ და ა. შ.

ჰიდროაპელატივები აქტიურად არიან ჩართული მიკროტოპონიმთა წარმოებაში, როგორც დამოუკიდებლად, ასევე რთულ მიკროჰიდრონიმებში.

**რამდენიმე მოგონება აკადემიკოს
არნოლდ ჩიქობავას შესახებ**

(ფრაგმენტები მოგონებათა წიგნიდან)

* * *

1981 წელს. ენათმეცნიერების ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს სხდომაა. ინსტიტუტის დირექტორმა აკადემიკოსმა ქეთევან ლომთათიძემ ლექსიკოლოგიის განყოფილების გამგეს, მიხეილ ჭაბაშვილს, ჰკითხა, გეგმით გათვალისწინებული „ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის“ ერთტომეულ მზადაა თუ არა გამოსაცემადო... ბატონმა მიხეილმა საკმაოდ ვრცლად ისაუბრა, კიდევ რა იყო გასაკეთებელი. ბატონმა არნოლდმა ისმინა, ისმინა... მერე ასწია თავი, ხელჯოხი შეათამაშა და მკვეთრად თქვა;

„ლექსიკონზე მუშაობა არ მთავრდება. უნდა შეძლოთ წერტილის დასმა“!..

იმ წელს ერთტომეული გამომცემლობას გადაეცა (გამოვიდა 1985 წელს)...

„უნდა შეძლოთ წერტილის დასმა!“ – ხშირად ჩამესმის ეს შეგონება...

მერე თითქოს მუხრან მაჭავარიანმა დააზუსტა: „არსებობს თუ არა ნიჭის საზომი რაიმე ხელსაწყო? არსებობს! ეს არის წერტილი! დიახ, წერტილი!“

* * *

1966 წელს ჩავირიცხე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კავკასიურ ენათა განყოფილებაზე. ეს განყოფილება ბატონმა არნოლდმა დააარსა 1933 წელს...

პირველკურსელებს შეგვხვდა აკადემიკოსი და გვესაუბრა ჩვენს მომავალ სპეციალობაზე. ეს ტრადიცია იყო თურმე კათედრისა... არნოლდ ჩიქობავას სახელი გაგვეგონა, მაგრამ, ცხადია, ბ-ნი არნოლდის სიდიდე ჯერ წარმოდგენილი არა გვქონდა...

ორი საგანი წაგვიკითხა: მეორე კურსზე – „იბერიულ-კავკასიურ ენათა ზოგადლინგვისტური საფუძველი“... და მეოთხე კურსზე – „იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების შესავალი“.

მეორე კურსზე ვართ.

პირველივე ლექციიდან რაღაც უჩვეულო „მინაურული“ დამოკიდებულება აეწყო ჩვენ შორის – 18-19 წლის ყმაწვილებსა და საქვეყნოდ ცნობილ აკადემიკოსს შორის... „კოლეგა“ – ასე მოგვმართავდა მხოლოდ.

ჩვენი ჯგუფი პატარა იყო, 10-კაციანი.

სემესტრის ბოლოს გამოცდა უნდა ჩაგვებარებინა. ბ-ნი არნოლდის საგანზე ადრე პარტისტორიაში გვექონდა გამოცდა. გრიგოლ გამსახურდია გვიკითხავდა. ჩათვლის წიგნაკები რომ გამოგვართვა გამოცდაზე ბატონმა გრიგოლმა და ჩაიხედა შიგ, – თითო დაადო, ეს (ე. ი. ჩემი საგანი) არაფერი, ამას მიხედეთო! – ბ-ნი არნოლდის საგანზე გვითხრა... ცოტა გაგვიკვირდა, მაგრამ როცა კარგად გავიცანით, ერთი მხრივ, ბატონი არნოლდი და, მეორე მხრივ, გრიგოლ გამსახურდია (პარტისტორიის ლექტორი!), უნივერსიტეტის სიტუაციაც რომ შევიცანით, აღარ გაგვიკვირებია...

ბ-ნი არნოლდის გამოცდაზე მე და თამაზ ხმაღამე (დღეს ცნობილი მწერალი) ერთად გავედით საპასუხოდ (თანაჯგუფელები ვიყავით). ჩემს ბილეთში ერთი საკითხი ენათა სტადიური განვითარების თეორიას ეხებოდა... ბ-ნი არნოლდის წიგნიდან მქონდა ნასწავლი ეს საკითხი... ჰოდა „გავანადგურე“ ნიკო მარი... ბ-ნი არნოლდი ღიმილით მისმენდა, როგორც სჩვეოდა... მერე შემაჩერა და მითხრა: ეგ სხვისი აზრია, როცა თავად გაეცნობი და შეგექმნება შენი აზრი ამ საკითხების თაობაზე, მაშინ უნდა ისაუბრო ეგრეო...

საუბრისას რამდენჯერმე დავიმოწმე „აკადემიკოსი არნოლდ ჩიქობავა“. „გამისწორა“ – „მეცნიერული აზროვნებისთვის არა აქვს მნიშვნელობა, აკადემიკოსია თუ ასპირანტი; მთავარია, რას ამბობსო“... („მედარებისათვის“: ერთმა ლექტორმა სტუდენტი მძიმე დღეში ჩააგდო, მატრიკულში ჩემი გვარის წინ „პროფესორი“ რატომ არ წერიაო... „ვერ ჩავატეე გრაფაშიო“, იმართლა თავი „დამნაშავე“ სტუდენტმა და უარესი რისხვა მიიღო თურმე...).

თამაზ ხმაღამის პასუხის ჯერი მოვიდა; ერთი საკითხი არ ვიცო, გულწრფელად უთხრა... ბ-ნმა არნოლდმა იმ საკითხის შესახებ საკმაოდ ვრცლად ისაუბრა... ახლა მეორე საკითხიო... მესამეო... მეოთხეო... კარგად უპასუხა თამაზმა...

გამოგვართვა ჩათვლის წიგნაკები და გააფორმა ნიშნები... „ფრიადები“ მივიღეთ... ეუხერხულა თამაზს; უთხრა: – ბ-ნო არნოლდ, მე ხომ ერთი საკითხი არ ვიცოდით...

ბ-ნი არნოლდის პასუხი:

– როცა არ იცოდი, ნიშანი მაშინ არ დამიწერია; ახლა იცი ის საკითხიც და ფრიადიც ამიტომ დაგიწერეო...

გამოცდა კი არა, მთელი აკადემია იყო...

იმ სემესტრში ექვსი ჩათვლა და სამი გამოცდა გვქონდა; მატრიკული რომ აიღო ხელში, ჩაილაპარაკა (თანაგრძნობით): ამდენი საგანი სულ არ გვისწავლია ჩვენ ოთხი წლის მანძილზეო... ასე მომრავლებული საუნിവერსიტეტო საგნების გამო თანაგრძნობა სხვა დროსაც გამოუთქვამს...

„არ ისმის კარგად“, გვეტყოდა ხოლმე და გაგვამეორებინებდა ნათქვამს... გვეგონა, ასაკშია და სმენას უჩივისო... თურმე, როგორც მერე მივხვდით, დანაწევრებულ, გამოკვეთილ საუბარს გვასწავლიდა (მე, იმერელი, ჩქარ საუბარს ვიყავი ჩვეული)...

ძალიან თავისუფალი გარემო იყო ლექციაზე, შეკითხვების დასმა არ გვერიდებოდა; პირიქით – გვაგულიანებდა, მაგრამ, როგორც ვთქვით: ხმამაღლა, გარკვევით, სწორი ინტონაციით...

IV კურსზე „იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების შესავალს“ გვიკითხავდა. იმჟამად ამ საგნის სახელმძღვანელოზე მუშაობდა. წინა კურსთან დაიწყო. სემესტრის ბოლოს სალექციო ჩანაწერები მიჰქონდა...

ყველა ლექციას ვესწრებოდი და ჩემი ჩანაწერები წაიღო... მომდევნო ლექციაზე დამიბრუნა – ვერ გავიგეო... მხოლოდ შენთვის არ უნდა წეროო... გადაწერა მომიხდა... მერე როცა ხელს ავუჩქარებდი, ეს მახსენდებოდა და ვცდილობდი გარკვევით მეწერა.

ასეთი მეთოდი ჰქონდა. ორსაათიან ლექციაზე პირველ საათზე გამოიკითხავდა, რის შესახებ გვქონდა წინა ლექციაზე საუბარი... და მეორე საათზე ლამის გვკარნახობდა ახალ მასალას...

ასე გავიარეთ მთელი კურსი...

ერთი სახალისო ამბავიც მახსენდება:

ერთხელაც დახედა საათს და თქვა: ხუთი წუთი რჩება, თორემ კიდევ შეიძლებოდა გვეთქვა რაღაცო...

ბ-ნ არნოლდს პატარა მრგვალი საათი (მგონი „პოზედა“) ეკეთა ხელზე, გაცვეთილი შავი სამაჯურით...

მე იმჟამად ჯიბის საათი მქონდა („მოდაში“ იყო), გრძელ „ჯაჭვზე“ იყო გამობმული და შარვლის უკანა ჯიბეში მედო... წინა მერხზე ვჯდებოდი. საათს უნივერსიტეტის ზარზე ვასწორებდი. დემონსტრაციულად ამოვიღე საათი ჯიბიდან, დავაჭირე თითი ღილაკს, ავხადე ხუფი, დავხედე და ხმამაღლა ვთქვი, 10 წუთი დარჩამეთქი. ბატონი არნოლდის გასაგონად იყო ნათქვამი და, ცხადია, გაიგონა, მაგრამ არ შეიმჩნია, განაგრძო საუბარი...

დაირეკა ზარი. ისევ ჩავატარე იგივე პროცედურა: ამოვიღე საათი, ავხადე ხუფი და ღიმილით შევხედე ბატონ არნოლდს:

– ჩემი საათი ყოფილა-მეთქი სწორი...

შემომხედა ბატონმა არნოლდმა, უღვაწეებში ჩაიცინა თავისებურად და მიპასუხა:

– არც ჩემი საათი წავიდოდა წინ, მაგხელა ჯაჭვით რომ იყოს დაბმულიო...

* * *

სხვაც მაქვს ღიმილიანი მოგონება:

II კორპუსში მეორე სართულზე, ფიზიკოსების მხარეს, გვექონდა ლექცია. ფანჯარასთან ვიდექი და სიგარეტს ვეწეოდი... გამოჩნდა ბატონი არნოლდი. წვიპურტით გავისროლე სიგარეტის ნამწვი: „დამულამებული“ მქონდა, ურნაში უნდა ჩავარდნილოყო და გავიჩქარე აუდიტორიისკენ... შემოვიდა ბატონი არნოლდი, ჩამიარა წინ და არ შემოუხედავს, ისე ჩაილაპარაკა, „იწვის“, „იწვის“... მივხვდი, „გამიცუდდა გასროლა“... დავხარე თავი, გავედი გარეთ, ჩავაგდე ნამწვი ურნაში და შემოვბრუნდი...

რა მოხდა, ვიცოდით მხოლოდ ორმა...

* * *

ერთსაც გავიხსენებ ჩემი სტუდენტური ცხოვრებიდან; ცოტა გრძელი ამბავია:

მეოთხე კურსზე ვარ. აპრილის ბოლო იყო. სადამოს სტუდენტულაქში მოვიდა დაზმირ გახარია (ლამა მერე დაირქვა, ცნობილი პოეტი რომ გახდა)...

სოფლიდან დარეკეს, მამა ყოფილა ცუდადო – შეშინებული იყო. ლამას მამა, კაპიტონი – მშვენიერი მეგრული ლექსების ავტორი, 30-იან წლებში გააციმბირეს და 10 წელი გაატარა იქ... 1945 წელს დაბრუნდა ოჯახში...

1970 წელია... თამაზ ხმალაძე, თამაზ ტყემალაძე და მე ვიყავით ოთახში... ნუ გამიშვებთ მარტო... თამაზ ხმალაძემ და მე გადავწყვიტეთ გავყოლოდით... დავუბარეთ ტყემალაძეს და წავედით სამეგრელოში. ორშაბათი იყო...

ვიმგზავრეთ მატარებლით, მერე მანქანით და დილით მუხურში (ჩხოროწყუ) ვიყავით... მია კაპიტონი მოკეთებული დაგვხვდა, მაგრამ სუსტად იყო მაინც, იწვა... შიშით მივიდიოდი და გავიხარეთ...

ტაბლა მიუდგეს საწოლთან; არაყი, საუზმე და ნამგზავრზე საკმოდ შევქეიფიანდით. მოგვასვენეს...

მერე ქაცარი („თიკანი“) და მეზობლები – დაზმირმა მეგობრები ჩამოიყვანაო... და აღმოვაჩინეთ ჩვენი საქართველო სამეგრელოში!...

ასე გაგრძელდა შაბათამდე, მეზობლებთან გადაპატიჟება, ულამაზეს ლუგელას ხეობაში ცხენით სეირნობა და ასე შემდეგ... დაგვიკლეს შაბათსაც ქაცარი, ჩავაბარგეს და გამოგვაცილეს სადგურამდე. კვირას დილით მივადექით სტუდენტულაქს... დავისვენეთ ვითომ... სადამოს მეგრული პურმარული გაიშალა სტუდენტულაქშიც, მეორე დღეს დასანახად აღარ გვინდოდა სასმელი და ქაცარი...

სამშაბათს წავედი ლექციაზე – ერთი კვირა გამიცდა... (მე და თამაზი უკვე სხვადასხვა ჯგუფში ვიყავით)...

ბ-ნი არნოლდის ლექცია გვექონდა სამშაბათს და პარასკევს... როცა ვინმე აცდენდა, აუცილებლად იკითხავდა, რატომ არ არისო (ხომ არ უჭირს რამეო – ამ გაგებით)...

ორი ლექცია გამიცდა...

პარასკევს უკითხავს ბ-ნ არნოლდს, რატომ არ არისო... ვერ უპასუხეს, არაფერი იცოდნენ ჯგუფელებმა... ჩვენი წასვლის „ამბავი“ თამაზ ტყემალაძემ „არია“: უყვარდა თავგადასავლების გამოგონება და ტყემალაძის ფანტაზია ამუშავდა: შეთხზა „ისტორია“...

კათედრაზე უთქვამს ბატონ არნოლდს, გაიგეთ, რა სჭირს იმ ბიჭსო და...

სამშაბათს შევედი ლექციაზე...

მოვერიდე, უკანა მერხზე დავჯექი... სახე მქონდა – ერთი კვირის მეგრული ქეიფი ზედ მეხატა...

რომ დამინახა, მომიკითხა, რა მოხდა, რატომ არ დადიოდით...

რა უნდა მეთქვა – გავბედე ტყუილი: დისშვილი მყავდა ახალი შემენილი; ვთქვი: დისშვილი შემემინა, ქუთაისში წავედი და ავად გავხდი-მეთქი;

ჰოდა (ამსიგრძე ამბავიც ამიტომ მოვეყვი), ბატონმა არნოლდმა შემომხედა სახეზე, ჩაიღიმა თავისებურად და მითხრა:

– **იცის ახალმა ტყემალმა...**

* * *

1978 წელს ენათმეცნიერების ინსტიტუტის თანამშრომელი გავხდი.

1979 წელს გამოიცა აკადემიკოს არნოლდ ჩიქობავას წიგნი „იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების შესავალი“. ბატონმა არნოლდმა წიგნი მისახსოვრა („უმცრ. მეცნ. თანამშრომელს გიორგი გოგოლაშვილს კეთილი სურვილებით ავტორი 8.X.1979“...).

პროფესორმა ბიძინა ფოჩხუამ თავისთან მიმიხმო და მითხრა, ამ წიგნზე რეცენზია უნდა დაწეროო, თან დააყოლა: დღემდე ბატონი არნოლდის წიგნზე დადებითი რეცენზია არ დაწერილაო (იგულისხმებოდა: უარყოფითი – მრავლად)... პასუხისთვის არც მოუცდია, ისე გამშორდა. დავალება დიდად მემძიმა: ლეგენდად ქვეული არნოლდ ჩიქობავას წიგნზე რეცენზია უნდა დამეწერა მე, ასე ვთქვათ, დამწყებ ენათმეცნიერს, როცა ენათმეცნიერების კლასიკოსები – ქეთევან ლომთათიძე, გიორგი როგავა, თინათინ შარაძენიძე, ივანე გიგინეიშვილი, ტოგო გუდავა, თვითონ ბიძინა ფოჩხუა და სხვები, ღვთის მადლით, არსებობდნენ... მეორე დღეს მივადექი ბატონ ბიძინა ფოჩხუას და უარი შევბედე. ვთქვათ ესეც: ბატონი ბიძი-

ნა ძალიან მკაცრი პიროვნება იყო და არ იყო იოლი მისთვის უარის თქმა, მაგრამ შიშმა და პასუხისმგებლობამ გამაბედვინა და... რატომ ვერ დაწერო, მკითხა. მე ვცადე ჩემი უარის დასაბუთება ზემომოყვანილი არგუმენტით... ბატონმა ბიძინამ შემაწყვეტინა საუბარი, ჯოხი იატაკს დაჰკრა და მკაცრად მითხრა:

– ულამაზესი ქალი იყო ნუგეშა მაცაშვილი, ვერავინ გაუბედა, ცოლად გამომყევით და კი დარჩა გაუთხოვარი!.. თქვენ დაწერთ რეცენზიას...

...ჩემი რეცენზია („შორეულ წარსულში დანახული ერთიანობა“) გამოქვეყნდა ჟურნალში „ქართული ენა და ლიტერატურა სკოლაში“ (№ 1, 1980 წ.). დაბეჭდვის საქმე ბატონმა ბიძინამ მოაგვარა...

თ ა მ ა რ ვ ა შ ა კ ი ძ ე

„და“ კავშირით შეერთებული დანართები სახელითა და გვარით წარმოდგენილ საზღვრულთან

თანამედროვე ქართულში (ზეპირი თუ წერიტი მეტყველები-სას) ხშირად დასტურდება ისეთი შემთხვევები, როცა სახელითა და გვარით წარმოდგენილ საზღვრულს ახლავს პროფესია-სტატუსის აღმნიშვნელი ორი დანართი („და“ კავშირით შეერთებული), მაგ.: **კომპოზიტორი და მევიოლინე** იოჰან შტრაუსი, **რეჟისორი და სცენარისტი** თენგიზ აბულაძე...

დასახელებული ტიპის დანართებისა და საკუთარი სახელებით წარმოდგენილი საზღვრულების შეთანხმებისას გამოიყოფა რამდენიმე შემთხვევა: ა) ორივე დანართი ფუძეთანხმოვნია (რეჟისორი და სცენარისტი თენგიზ აბულაძე...); ბ) ორივე დანართი ფუძეხმოვნია (მევენახე და მებაღე ვახტანგ გრძელიძე...); გ) პირველი დანართი ფუძეთანხმოვნია, მეორე – ფუძეხმოვნია (მომღერალი და მოცეკვავე თინათინ რეხვიაშვილი...); დ) ფუძეხმოვნია პირველი დანართი, მეორე – ფუძეთანხმოვნია (კომპოზიტორი და მევიოლინე ნიკოლო პაგანინი...).

ზოგჯერ „და“ კავშირით შეერთებულ პროფესია-სტატუსის აღმნიშვნელ დანართებს მოსდევს მსაზღვრელად გამოყენებული სახელიც – **ბატონი** ან **ქალბატონი: რეისორი და სცენარისტი – ბატონი** თენგიზ აბულაძე, **კომპოზიტორი და მომღერალი – ქალბატონი** ნატო გელაშვილი, **მევენახე და მეზადნე – ბატონი** ვახტანგ გრძელიძე, **მომღერალი და მოცეკვავე – ქალბატონი** თინათინ რეხვიაშვილი და მისთ.

მოხსენებაში განხილული იქნება დასახელებული ტიპის მსაზღვრელ-საზღვრულოთა სინტაქსური მიმართების საკითხები.

მ ა კ ა ლ ა ბ ა რ ტ ყ ა ვ ა

მიმართების გამოხატვის ერთი სახეობისათვის ქართულში

სამეცნიერო ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ **-დმი / -დამი** რთული ბოლოსართებია, რომლებიც მიმართულებითი (ვითარებითი) ბრუნვის **-დ/-და** ნიშნისა და საკუთრივ **-მი** თანდებულისაგან შედგება.

ა. შანიძე **-დამი** ბოლოსართს რთულ თანდებულად მიიჩნევს. მისი აზრით, **-და** ელემენტიც თანდებულია, ძველად ფართოდ გავრცელებული, შემდეგ კი – ხმარებიდან გადავარდნილი. **-და** ელემენტის შესახებ ამ თვალსაზრისს იზიარებს ივ. გიგინეიშვილიც.

შემადგენელი ნაწილების მიხედვით **-დმი /-დამი** ბოლოსართები ქეგლის რვატომეულში **-დ/-და** მიმართულებითი ბრუნვის ნიშნად და **-მი** თანდებულად არის კვალიფიცირებული; ქეგლის ერთტომეულში კი ისინი თანდებულად არის მიჩნეული.

„ძველი ქართული ენის გრამატიკაში“ **მო** და **მი** თანდებულებად (უკუდებულებად) არის გამოყენებული **ჩემდამო, შენდამი** ნაცვალსახელებთან (ა. შანიძე).

თანამედროვე ქართულში, რადიო-ტელევიზიისა და პრესის ენაში, მწერლობაში ხშირად დასტურდება -**დმი** თანდებულიანი და ნათესაობითის ბრუნვის ფორმაზე დართული -**მიმართ** თანდებულიანი სახელების შემცველი კონსტრუქციები - **სამშობლოსადმი / სამშობლოს მიმართ; მეგობრისადმი / მეგობრის მიმართ; დედისადმი / დედის მიმართ...**

მაგალითები:

„**სამშობლოსადმი** სიყვარული უდიდესია, ყველა სხვა გრძნობაზე მაღლა დგას“ („ახალი 7 დღე“: 2003), შდრ.: „ეს არის არაჩვეულებრივი ადამიანი, თავისი ადამიანური სისუსტეებით, **სამშობლოს მიმართ** სიყვარულით...“ („რეზონანსი“: 2005)...

„წიგნში „არქიტექტორი გივი ჯაფარიძე“ მკითხველი შეიგრძნობს **მეგობრისადმი** დიდ სიბოლს, მისი წარმატებით სიამაყეს და აღტაცებას“ („საქ. რესპუბლიკა“: 2014), შდრ.: „აქციის სხვა ლიდერებს საყვედურიც კი არ დასცდენიათ თავიანთი **მეგობრის მიმართ**“ („საქ. რესპუბლიკა“: 2009)...

„თუმცა **დედისადმი** სიყვარული ძმებმა პრაქტიკულად სხვადასხვაგვარად გამოხატეს“ („საქ. რესპუბლიკა“: 2006), შდრ.: „მშობლები ერთნაირად მიყვარს, **დედის მიმართ** მაინც განსაკუთრებული გრძნობა მაქვს („დილის გაზეთი“: 2000)...

საყურადღებოა აგრეთვე ისეთი კონსტრუქციები, რომლებშიც -**დმი** თანდებულიანი და უთანდებულო ნათესაობითის შემცველი ფორმები მონაცვლეობენ. „საწყისთან ობიექტად გამოყენებულ სახელებს, მათთვის ობიექტობის ხაზგასასმელად, -**მი** თანდებული ერთვის, რაც უთანდებულო ნათესაობითთან ერთად ენაში ვარიანტულ კონსტრუქციებს ქმნის“ (ვ. კლანდაძე) - **სამშობლოსადმი ერთგულება** და **სამშობლოს ერთგულება**; **თავისადმი რწმენა** და **თავის რწმენა**; **სპორტისადმი სიყვარული** და **სპორტის სიყვარული...**

მაგალითები:

„**სამშობლოსადმი ერთგულება**, პატიოსნება, გულწრფელობა და სიმართლეა ადამიანის ღირსეულობის საზომი“ („საქ. რესპუბლიკა“: 2010), „**სამშობლოს ერთგულება** და მისთვის თავის შეწირვა ჩვენ სისხლში გვაქვს“ („საქ. რესპუბლიკა“: 2014).

„საკუთარი თავისადმი რწმენა თითოეული გამარჯვების შემდეგ მიმტკიცდება“ („24 საათი“: 2006), შდრ.: „მოსამართლეს სჭირდება გამოცდილება, საკუთარი თავის რწმენა და სახელი“ (tavisupleba.org);

„სპორტისადმი სიყვარული მან საკუთარ შვილებსაც ჩაუნერგა“ („ხვალინდელი დღე“: 2005), შდრ.: „სპორტის სიყვარული კი ყმაწვილობიდანვე გამოჰყვა ყოფილ მორაგბეს“ („ლელო“: 2006)...

ისმის კითხვა: ზემოთ წარმოდგენილი ვარიანტული კონსტრუქციებიდან რომელს მიენიჭოს უპირატესობა?

მოხსენებაში ვრცლად განვიხილავთ საილუსტრაციო მაგალითებს სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმულ მოსაზრებათა გათვალისწინებით.

რ ო მ ა ნ ლ ო ლ უ ა

კლიტიკა კავკასიის ალბანურ ენაში

მიუხედავად იმისა, რომ კავკასიის ალბანურის შემთხვევაში საქმე არ გვაქვს ცოცხალ მეტყველებასთან, ზოგიერთი გარემოება გვაზარაულებინებს, რომ კავკასიის ალბანურში ზოგიერთი სიტყვა თუ ფორმანტი კლიტიკა (ან მეტწილად კლიტიკა) უნდა იყოს; მათ შორისაა:

პირის ნიშნები (წარმოშობით პირის ნაცვალსახელება, გარდა III პირის ნიშნებისა):

I მხ.: -**ზუ** (სახ.-ერგ.), -**ზა** (მიც. I), -**ზა-ხ** (მიც. II), -**ზა-ხოც** (აბლ. II);

I მრ.: -**ჟან** (სახ.-ერგ.), -**ჟა** (მიც. I), -**ჟა-ხ** (მიც. II), **ჟა-ს** (მიც. III), -**ჟა-ხოშ** (კომ.);

II მხ.: -**ნუნ** (სახ.-ერგ.), -**ვა** (მიც. I), -**ვა-ხ** (მიც. II);

II მრ.: -**ნან** (სახ.-ერგ.), -**ვა'** (მიც. I), -**ვა'-ხ** (მიც. II), **ვა'-ს** (მიც. III), -**ვა'-ხუ** (დირ.), -**ვა'-ხოლ** (სუპერეს. III);

III.: -**ნ(ე)ა**.

კლასის ნიშნები (წარმოშობით ჩვენებითი ნაცვალსახელება = III პირის ნაცვალსახელებს):

I მხ.: **-ვა** (სახ.), **-ო-ენ** (ერგ.), **-ო-ია** (ნათ.), **-ო-უ** (მიც. I), **-ო-უხ** (მიც. II), **-ო-უს** (მიც. III), **-ო-უქ** (ად. I), **-ო-ულ** (სუბ. I), **-ო-უხუ** (დირ.), **-ო-უხოც** (აბლ. II), **-ო-უხოსტამ** (ანტ. II);

II მხ.: **-ად** (სახ.), **-ად-ენ** (ერგ.), **-ად-უ** (მიც. I), **-ად-უხ** (მიც. II);

III მხ.: **-ია** (სახ.), **-ტ-ენ** (ერგ.), **-ტ-ა**, **-ჰ-ა** (ნათ.), **-ტ-უნ** (ნათ. ?), **ტ-უ**, **ეტ-უ** (მიც. I), **-ტ-უხ** (მიც. II), **-ტ-ალ** (სუბ. I), **-თ-ხოც** (აბლ. II);

I მრ.: **-ო-რ** (სახ.), **-ო-რ** (ერგ.), **-ო-რ** (ნათ.), **-ო-რ** (მიც. I), **-ო-რ** (მიც. II), **-ო-რ** (მიც. III) **-ო-რ** (სუბ. I), **-ო-რხოც** (კომ.);

II მრ.: **-ად-ურ** (სახ.), **-ად-რ-ონ** (ერგ.);

III მრ.: **-ებ-ურ** (სახ.), **-დ-დ-ონ**, **-ედ-დ-ონ** (ერგ.), **-ედ-უხ** (მიც. II), **-დ-დ-ოლოც** (სუბ.).

უარყოფითი ნაწილაკები: **მა-**, **ნუ-**, **-ნუ**, **-ნ**, **ნუთ-**, **თე-**;

ზმნური კილოების მაწარმოებლები: კონდიციონალი **-ენ-ე**, ოპტატივი **-ყა**, კვოტატივი **-კა**;

ფოკუსის მარკერი **-ალ**;

ნაწილაკი **-კე** (მნიშვნელობით უდრის ქართულ **-ც** ნაწილაკს) და ზოგიერთი სხვა.

ჩამოთვლილი ელემენტების მოქმედება უჩვეულოა აფიქსების სათვის. ისინი წინადადებაში სხვადასხვა მეტყველების ნაწილებს დაერთვიან და, როგორც წესი, აქვთ დამოუკიდებელი ლექსიკური მნიშვნელობა. ეს უკანასკნელი პირისა და კლასის ნიშნების შესახებაც შეიძლება ითქვას, რადგან ისინი წარმოშობით პირისა და ჩვენებითი ნაცვალსახელება და, თუ მცირე ფონეტიკურ ცვლილებებს არ მივიღებთ მხედველობაში, იმეორებენ მათ ფორმებს. აღსანიშნავია, რომ ამ ელემენტთა უმრავლესობას (კლასის ნიშნების, **-ენ-ე**, **-კა** და **-კე** ფორმების გამოკლებით) უდიურშიც მოეპოვებათ კლიტიკის სტატუსი.

ი. გიპერტისა და ვ. შულცეს აზრით, კლიტიკების რაოდენობა კავკასიის ალბანურში იყო ბევრად დიდი. მათ რიგში მკვლევრებს შეჰყავთ **ჰ-კე** (**ჰ[ანამ-ო-]კე**) „რომელიც“ ბრუნვისა და კლასის ფორმების მდიდარი პარადიგმით, განუსაზღვრელობითი ნაცვალსახელები **იშე**, **იშუ** „ვიღაცა“, **ჰილ** „რადაცა“, **ჰაშკე**, **ჰაშუკე** „ვინც“, **ჰამაიკე**, **ჰამოსტაიკე** „სადაც“, მაქვემდებარებელი კავშირები **ჰაჰინ**, **ჰაჰინკე** „როგორც“, **იაკე** „რაც“, **ჰამოჩკე** „როცა“, **ანაკე** „რადგან“, „რომ“, **ანკე**

„რომ“, ზმნისართები **ეტიმ** „იქ“, **ემე** „აქ“, „იქ“, **სომა** „ჯერ“, „სანამ“, **ეტუჟამ** „შემდეგ“, **იანკე** „ასე“ და სხვ.

თუ ამ მოსაზრებას გავიზიარებთ, მაშინ მივიღებთ, მაგალითად, შემდეგ სიტყვაფორმებს: ბისად-ალ-ჰანადჰა-გოენ-კე-ზახ-ოენ „რომლისთვისაც მცხო (ლკ. 4, 18)“, ნუთ-ანკე-ო-რ-ჟახ-ჰოჰოც-ბაი-აჰალ „რათა ისინი უჩვენოდ ვერ გამხდარიყვნენ სრულქმნილნი (ებრ. 11, 40)“, თა-კა-ჰანად-ამუმჰიწოულოდ-კე-ჰედ „იქ ცხოველები იყო, რომლის... (ებრ. 13, 11)“... დაუჯერებელია, რომ ეს მოყვანილი მაგალითები ერთ ფონეტიკურ სიტყვას წარმოადგენდეს. ამ და სხვა ამდაგვარ შემთხვევებში, ჩვენი აზრით, სინტაგმები უნდა გვქონდეს.

თ ა მ ა რ ლ ო მ თ ა ძ ე , ა ნ ი კ ვ ი რ ი კ ა შ ვ ი ლ ი

არქაიზმები ქართველ ებრაელთა მეტყველებაში

ქართველ ებრაელთა მეტყველება ძირითადად ეფუძნება აბორიგენი მოსახლეობის მეტყველებას და მცირედ განსხვავდება მათგან წარმოთქმითა და გრამატიკით. რაც შეეხება ლექსიკას, აქ განსხვავება უფრო ხელშესახებია: ა) უხვი ებრაულ-არამეული ლექსიკა, რომლის დიდი ნაწილი ქართული აფიქსებითაა გაფორმებული და ბ) ქართული ლექსიკის სპეციფიკური გამოყენების შემთხვევები. წინამდებარე მოხსენების მიზანი ქართველ ებრაელთა მეტყველებაში დადასტურებული არქაული სიტყვებისა და ფორმების გამოყენების ჩვენებაა.

ებრაელებს „შენახვისა და დაცვის“ განსაკუთრებული ტრადიციები აქვთ. სწორედ ამიტომაც საერთოებრაულ მოვლენად მიჩნეული მსოფლიოში გაფანტული ებრაული დიასპორების მიერ ადათწესებთან, ტრადიციებთან, საქმიანობასა თუ რელიგიასთან დაკავშირებული უძველესი ლექსიკური ერთეულების „შემონახვა“. ქართველი ებრაელები ამ მხრივ ნამდვილად წარმოადგენენ მსოფლიო ებრაელების ნაწილს.

ქართველ ებრაელთა უმეტესობა სეფარდული ტრადიციების წარმომადგენელია. მათ მეტყველებაში დღემდეა დაცული უძველესი ბიბლიური თუ სხვა წმინდა, რელიგიური ტექსტური წიგნების ლექსიკური ერთეულები და სეფარდული წარმოთქმის ტრადიციები. მაგალითად, **ყ** ბგერის შემონახვა იმ ებრაულ სიტყვებში, რომლებშიც თანამედროვე ებრაულში ეს ბგერა აღარ წარმოითქმის.

ქართველ ებრაელთა მეტყველებაში ასევე შემონახულია ზოგი ქართული არქაული სიტყვა და ფორმა. მაგალითად, **ზის** ზმნის **ჯდა/ჯდა** ნაირსახეობა და **უნდა** ზმნის **უნა** ფორმა.

ქ ე თ ე ვ ა ნ მ ა რ გ ი ა ნ ი

-უჭ/ოღჭ (-მცა) ნაწილაკის ფუნქციები სვანური ზღაპრის ენაში

თანამედროვე სალიტერატურო ენაში -მცა'ნაწილაკიანი ფორმები იშვიათია და, ძირითადად, ფრაზეოლოგიზმებსა და დიალექტიზმებშია შემორჩენილი. როგორც ცნობილია, ძველ ქართულში **-მცა** ნაწილაკის ფუნქცია იყო თხრობითი კილოს ზმნებთან ერთად კონსტრუქციისთვის კავშირებითი (/პირობითი) კილოს მინიჭება. მას შემდეგ, რაც ენაში კავშირებითი კილო გრამატიკულად ჩამოყალიბდა, ქართულ სალიტერატურო ენაში საანალიზო ნაწილაკიანმა ფორმებმა თანდათან დაკარგეს აღნიშნული ფუნქცია.

როგორც ვიცით, სვანური ენა არასალიტერატურო ქართველურ ენათა შორის გამორჩეულია არქაულობით როგორც ლექსიკურად, ასევე გრამატიკულად. ხშირად ამ ენაში შემორჩენილია ის ენობრივი ვითარება, რომელიც უკვე სალიტერატურო ქართულში აღარაა რელევანტური. ერთ-ერთი ასეთი მოვლენა სვანურში სწორედ -მცა'ნაწილაკიანი ფორმების არსებობა და მათი ფუნქციური მრავალფეროვნებაა.

საანალიზო საკითხმა არაერთხელ მიიქცია ჩვენი ყურადღება. ემპირიული მასალის ანალიზის საფუძველზე გამოიკვეთა დავაზუსტეთ, რომ ამ ფორმათა ფუნქცია არ შემოიფარგლება მხოლოდ კავშირებითი კილოს გამოხატვით, არამედ მათ აქვთ უნარი შექმნან წინაპირობა ქვეწყობილ წინადადებაში უკავშირო შეერთებისთვის, ასევე, ჩაანაცვლონ სხვათა სიტყვის ნაწილაკოვანი ფორმები.

ვინაიდან არასალიტერატურო ენაში კომპარატივისტიკისთვის მხოლოდ ადრეული ჩანაწერები, ზეპირი მეტყველების ნიმუშები (ზღაპრები, საწესჩვეულებო ტექსტები, სასიმღერო ლექსები...) და ცოცხალ მეტყველებაში დღემდე შემონახული ფრაზეოლოგიზმებია ხელმისაწვდომი, ამიტომაც სვანურში დაფიქსირებულ არქაულ ენობრივ მოვლენებს ხშირად ზემოთ ჩამოთვლილ მონაცემთა ანალიზით, თანამედროვე სვანურ მეტყველებასთან და მოძვე ენების სათანადო ემპირიულ მასალასთან შეპირისპირებით განვიხილავთ.

ამ ეტაპზე **მცა** ნაწილაკიანი ფორმებისთვის ემპირიულ მასალად ზღაპრის ენა შევარჩიეთ, ვინაიდან ვრცელი კონტექსტი უფრო სრულად იძლევა ანალიზის საშუალებას. ჩვენი მიზანი იყო დაგვედგინა კრიტერიუმი კონსტრუქციისთვის სხვადასხვა ფუნქციის მინიჭების თვალსაზრისით და გაგვერკვია, სად არის მიჯნა კავშირებითი კილოსა და სხვისი ნათქვამის ერთი და იგივე

-**მცა** ნაწილაკიანი ფორმებით გამოხატვისას, მხოლოდ ვრცელი კონტექსტის გათვალისწინებაა გამოსავალი თუ ფორმოზრივადაც არსებობს რაიმე პრინციპი.

გამოიკვეთა, რომ ა) საანალიზო ნაწილაკი შეზღუდულია მწკრივებთან გამოყენების თვალსაზრისით: ის გამოიყენება უწყვეტელ/ხოლმეობითთან, ოდენ წინდებულ-თანდებულთან მყოფადთან, წყვეტილთან და თურმეობითებთან.

ბ) აორისტთან -**მცა** ნაწილაკი **მომავლის დროის** გაგებას იძენს სხვათა სიტყვის შემთხვევაში: ბზ.: ჩუჟ ანკად/ბქ.: ჩოღანაჯად „ჩამოვიდამცა!“ = „ჩამოვიდესო“, ხოლო იგივე ფორმა **წარსულის** ან ზოგადი დროის გაგებას იწარჩუნებს არათხრობითი კილოს გამოხატვისას (კავშირებითი/პირობითი) „ჩამოსულიყო“...

გ) სემანტიკისთვის მნიშვნელობა აქვს ნაწილაკის ადგილს ზმნასთან: თუ ის აუსლაუტში დაერთვის (ჩუანკადლუ/ჩუანკადლოდ!...) მაშინ ნატვრითი კილოა („ჩამოვიდამცა“ = „ნეტავ ჩამოვიდეს!“), ხო-

ლო თუ წინდებულ-თანდებულის შემდეგ იკავებს ადგილს, მაშინ უმეტესად სხვათა სიტყვაა.

ტიტუსის ბაზის მონაცემების მიხედვით 100 საანალიზო ნაწილაკიანი ფორმიდან 87-ში ნაწილაკის ადგილთან მიმართებით აღნიშნული წესი დაცული აღმოჩნდა.

ექსპედიციის მასალების შედარებამ ზღაპრის ენასთან, სამწუხაროდ, ამჯერადაც გამოავლინა ტენდენცია, რომ თანამედროვე თაობის მეტყველებაში საანალიზო ნაწილაკის გამოყენება ადგილის მიხედვით თითქმის თავისუფალია, რაც სვანურის კარგად მცოდნე მსმენელზე სტილური გაუმართაობის და ენის ზერელე ფლობის შთაბეჭდილებას ტოვებს. მოხსენებაში ვრცლად წარმოვადგენთ შესაბამის ემპირიულ მასალას.

ნ ა ნ ა მ ა ჭ ა ვ ა რ ი ა ნ ი

სომატური ლექსიკის კვალი აფხაზურ მორფოლოგიურ ინვენტარში როგორც აფხაზურისა და ქართულის ერთნაირი ენობრივი მსოფლხედვის ნიმუში

აფხაზური ენა მდიდარია სიტყვათმანარმოებელი ელემენტებით, აფიქსებითა და აფიქსოიდებით, რომელთა დიდი ნაწილი დამოუკიდებელ ლექსემათა ცვთის შედეგადაა მიღებული.

აფხაზურ აფიქსთა ამოსავალი სიტყვები ხშირად სომატურ ლექსიკას ემყარება. ამაში მოულოდნელი არაფერია, ადამიანი, როგორც სუბიექტი, ინდივიდი, ცდილობს თავისი სხეულის ნაწილების აღმნიშვნელი ცნება-სიტყვებით გამოხატოს ნაირგვარი ურთიერთობა თავის თავსა და გარემომცველ სამყაროს შორის. მაგალითად: უნებურობის კატეგორიის პრეფიქსი **ამახა** < **ამაჯა**, დაკავშირებულია ხელთან. შდრ. ქართ.: „**ხელ** მეწიფება“...

ქართულში უნებურობის სემასიოლოგიური კატეგორია მსგავსებას ამჟღავნებს აფხაზურის უნებურობის მორფოლოგიურ კატეგორიასთან (რაც პირის აფიქსთა ობიექტურ წყობასა და უნებურობის

კატეგორიის მაწარმოებელი აფიქსის შემადგენლობაში შემავალი ლექსემის – „ხელის“ არსებობაში გამოიხატება).

აღნიშნული ვითარება კი იმაზე უნდა მიუთითებდეს, რომ აფხაზურსა და ქართულში ენობრივი ფსიქოლოგიის თვალსაზრისით თანხვედრაა.

აფხაზურსა და აბაზურში სახელის ფუძიდან ნაწარმოებ ზმნათათვის დინამიკურობის მინიჭების ერთ-ერთი საშუალებაა **-ხა** სუფიქსის გამოიყენება.

აუვგ „აადამიანი“, დგ-ჴაჯ-**ხ**-ოდტ < დგ-ჴაჯ-**ხა**-ჴედტ „აადამიანდება“, ახაწა „კაცი“, დგ-ხაწა-**ხე**-დტ „დაკაცდა“... სწორედ მისი ამ ფუნქციიდან გამომდინარე, ვფიქრობთ, რომ ეს სუფიქსი „თავის“ განზოგადებულ მნიშვნელობას უნდა მოიცავდეს, რომელიც ამავე დროს ზმნის მადინამიკურებელიც არის. ბუნებრივია, თუ პერსონის („თავი“ ამოსავალი მნიშვნელობით) მონაწილეობით, სტატიკურ ზმნას დინამიკურობა მიენიჭება.

აღნიშნული სუფიქსის (**-ხა**) ამოსავალი მნიშვნელობა შესაძლოა იყოს **ახგ** „თავი“ არსებითი სახელი მისი განზოგადებული მნიშვნელობით. შდრ.: ახატა „თავისი პირადი“. აგრეთვე, განსაზღვრებითი ნაცვალსახელი ა-**ხათა** „თვით, თვითონ“, რომელიც იცვლება კლასებისა და პირის მიხედვით (ს-**ხათა** „მე თვითონ“, ჴ-**ხათა** „შენ (მკ.) თვითონ“ და ა. შ., შდრ. ქართ.: „თავად“, „თვითონ“, „თავისი“.

ვითარებითი ზედსართავის ოდნაობითი ხარისხის (**ა**)ც-პრეფიქსი, ზმნის სასხვისო (საზიანო) ქცევის **ც** პრეფიქსი და გონიერთა მრავლობითობის -**ცა** სუფიქსი აფხაზურში მატერიალურ ერთიანობას ამჟღავნებს.

ვვარაუდობთ, რომ **ცა** აფიქსის თავდაპირველი მნიშვნელობა უნდა ყოფილიყო „კანი, ტყავი“, შდრ.: ქართული: „**ჩემი სისხლი და ხორცი**“, „**მისი ღვიძლი ძმა**“ და სხვ.

აფხაზურში არსებით სახელთა ერთი წყება იწარმოება **-შა** სუფიქსით, რომელიც თვისებას, მოქმედების მანერას ან ხერხს გამოხატავს:

აყაზმა „თვისება, ხასიათი“, (აყაზაარა „ყოფნა“), ამსა-**შა** „ცურვის ხერხი“ (ამსარა „ცურვა“), აფწა**შა** „კითხვის ჩვევა“ (აფწარა „კითხვა“).

შესაძლოა ეს სუფიქსი მომდინარეობდეს ამავე „ფეხი“ სიტყვისაგან წარმოსახვითი მნიშვნელობით: რაიმეს მსგავსი, მისნაირი, მისი ფეხი.

შდრ. ქართული:

ფეხი (ერთ-ერთი) მნიშვნელობა: კუთხ. (ქართლ.) მეორე ცოლი წინანდელი ცოლის მიმართ (ან მეორე ქმარი წინანდელი ქმრის მიმართ). გონს მოდი ქერბალაი! ...ნუ გავიწყდება, მე დედი შენის ფეხი ვარ, მამიშენის ცოლი! (**შ. არაგვ.**) || კუთხ. (კახ.) «ქმრის წინანდელი ცოლი მეორე ცოლისათვის და ცოლის წინანდელი ქმარი მეორე ქმრისათვის» (**ს. მენთ.**) (ქეგლ. 1986).

ფეხი (ერთ-ერთი) მნიშვნელობა: ვინმეს შემცვლელი კანდიდატი. ეხლა გიორგი ყოფილა თავმჯდომარის ფეხი. (ჭინჭარაული 2005).

ეშმაკის ფეხი პრდ. ეშმაკის მაგიერი, ეშმაკის ტოლი. ხტვ. ბოროტი, ეშმაკის ხასიათისა და ქცევისა... „წარმოიდგინეთ, რომ იმ ეშმაკის ფეხმა, არგასაშვებმა სულიკომ ისიც არ დაინდო“ (ნ. ლომოური, მოთხრობები, 261). (სახოკია 1950).

აფხაზურში არის ერთი ნაკლებად პროდუქტიული -**გა** სუფიქსი, რომელიც, ჩვენი აზრით, უნდა მომდინარეობდეს -**გაშა** „საწყალი“, „საცოდავი“ ზედსართავი სახელისაგან, იგი ხშირად შორისდებულადაც წარმოგვიდგება. თავად ეს ზედსართავი სახელი მიღებული უნდა იყოს **აგგ** „გული“ არსებით სახელზე -(**ა**)**შა** თვისების აღმნიშვნელი სიტყვათმაწარმოებელი სუფიქსის დართვით. შდრ.: **აყაზ-შა** „თვისება, ხასიათი“, **აძსა-შა** „ცურვის ხასიათი, ხერხი“.

-**გა** სუფიქსი დასტურდება ფიზიკური ნაკლის გამომხატველ ორიოდ მოტივირებულ სიტყვაში: **ადა-გა** „გამოყრუებული“, **აკატა-გა** „უკუდო, კუდმოჭრილი, კუდა“, რაც გვაფიქრებინებს, რომ სახელდება გამოწვეული უნდა ყოფილიყო შემხრალეზღური ემოციური დამოკიდებულებით, წარმოსახვითი მნიშვნელობითა და სემანტიკის გადაწევით: „მარღვ საწყალი“, „კუდ, ნაწლავ საწყალი“...**ადა** „მარღვი“, **აკატა** „ნაწლავი“. დროთა ვითარებაში -**გაშა** ლექსემის ბოლო მარცვალი შეიძლება და გაუჩინარებულიყო და მოგველო -**გა** სუფიქსი. შდრ.: ქართ.: „**გულსაკლავი**“, „**გულსამწვავი**“...

გამოთქმული მოსაზრებანი, ვფიქრობთ, უნდა მიუთითებდეს ქართული და აფხაზური ენების გრამატიკული წყობის განვითარების საერთო მიმართულებაზე, რაც ამ ენათა მორფოლოგიის ისტორიულ-შედარებითი კვლევის თვალსაზრისით მნიშვნელოვნად გვეჩვენება.

ქდკ-ის ინგილოური ლექსიკონი¹

დიალექტურ ლექსიკონებზე მუშაობა დაუსრულებელი პროცესია, რადგან დიალექტი ლინგვისტური თუ მეტალინგვისტური ფაქტორების გამო მუდმივად განიცდის ცვლილებას, და, შესაბამისად, დიალექტური ლექსიკონებიც ივსება ახალი სიტყვებით, მნიშვნელობებით, ილუსტრაციებით, გრამატიკული თუ ფონეტიკური ვარიაციებით.

ქდკ-ის „ლექსიკოგრაფიული რედაქტორი“, რომელიც ჩაშენებულია ქართულ დიალექტურ კორპუსში, იძლევა იმის საშუალებას, რომ ზედმიწევნით სრულყოფილად ავსახოთ როგორც ბეჭდური ლექსიკოგრაფიული წყაროს ინფორმაცია, ასევე ნებისმიერ დროს დავამატოთ ახალი სალექსიკონო სტატია ან უკვე არსებულში შევიტანოთ ესა თუ ის ცვლილება, სრულყოთ, დავხვეწოთ, გავამდიდროთ ლექსიკონები ახალი სალექსიკონო ერთეულებით, ახალი მნიშვნელობებით, ფონეტიკური, გრამატიკული ვარიაციებით. ეს პროცესი, რომელიც ბეჭდური ლექსიკონისათვის ხელახალი გამოცემის მომზადებას, რთულ რუტინულ სამუშაოს და დიდ დროს მოითხოვდა, დღეს, ელექტრონული ლექსიკონების ეპოქაში, შედარებით გამარტივებულია, რადგან ლექსიკოგრაფიული რესურსების ეტაპობრივი განახლების საშუალებას იძლევა. იმისათვის, რომ ლექსიკონი იყოს მდიდარი, ინფორმაციული და სრულყოფილი, მნიშვნელოვანია ყველა ლექსიკოგრაფიული წყაროსა და უახლესი მასალების გათვალისწინება.

წარმოვადგენთ მოხსენებას ინგილოური ლექსიკონის განახლების სამუშაოებზე. კერძოდ, შევაჯამებთ გაწეული ლექსიკოგრაფიული სამუშაოს ერთ ეტაპს, რომელიც ითვალისწინებდა არსებული ლექსიკოგრაფიული მასალის შევსებასა და მასში გარკვეული სტრუქტურული და შინაარსობრივი ცვლილებების შეტანას, კერძოდ:

¹ კვლევა განხორციელდა შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის მხარდაჭერით [გრანტის ნომერი HE-21-873].

- ზმნისწინიანი ფორმები, რომლებიც მნიშვნელობის არსებით განსხვავებას არ აჩვენებენ, ჩვენს ლექსიკონში წარმოდგენილია სალექსიკონო ერთეულის გრამატიკულ ვარიაციებად (იხ. წიგნში – მოკრძცად, ხოლო ელექტრონულ გამოცემაში – კრძცად; დაზგლუნევა (დამბაშიძე), ზგლუნევა (ქდვ), ხოლო როცა ზმნისწინი მნიშვნელობას უცვლის სიტყვას, ზმნისწინიანი ფორმა ცალკე სალექსიკონო ერთეულად არის წარმოდგენილი (იხ. გადასმად...);
- ფორმაწარმოებითი და სიტყვაწარმოებითი ვარიაციები შედის სალექსიკონო სტატიაში, მაგრამ, როდესაც სიტყვა იძენს განსხვავებულ ლექსიკურ მნიშვნელობას, გამოვყოფთ ცალკე სტატიად, კერძოდ, ავტორისეულ სიტყვა-სტატიაში ცალ-ცალკე სალექსიკონო ერთეულებად წარმოდგენილი მიმღეობები და ზმნიზედები (ზმნიზედად კვალიფიცირებული ვითარებითი ბრუნვის ფორმები) ჩვენს ლექსიკონში გაერთიანებულია მასდარის ბუდეში, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც მიმღეობურ ფორმას აქვს როგორც სახელ-ზმნის, ასევე არსებითი სახელის მნიშვნელობა. ასეთ დროს მიმღეობა განიმარტება ზმნის ბუდეში, ხოლო არსებით სახელად გაგებული ფორმა – გაგვაქვს ცალკე სალექსიკონო სტატიად (იხ. გადაწყრტულ, გააზაბრელ);
- როცა ბეჭდურ ლექსიკოგრაფიულ წყაროში ბუნდოვანია, დასაზუსტებელია ან გამორჩენილია სალექსიკონო ერთეულის განმარტება, ონლაინლექსიკონში ვასწორებთ ამ ხარვეზს, ვაზუსტებთ და ვამატებთ განმარტებას (იხ. გაჭრი სოკოდ (როსტიაშვილი), ქდვ – გაარი სოკოდ; დელე: დელე-ყურედ: ნ. ყურედ (დამბაშიძე), ქდვ – დელე-ყურედ).
- ისევე, როგორც სალექსიკონო ერთეული, მისი გრამატიკული ვარიაციებიც წარმოდგენილია ყველა ხელმისაწვდომი ფონეტიკური ვარიანტით (იხ. გამათევა – დამათევა, გასამათეველ, მაჰთევის, მაჰტევის; გადაწონა – გადწონ, გადაწონილ, გგდაწონილ, გოდუაწუნ, გადამიწონი, აწონავს, გგდააწუნა, გგდოუწონი)
- ჩვენს ლექსიკონში ზმნურ სალექსიკონო ერთეულად წარმოდგენილია მასდარი, ხოლო აწმყოს მესამე პირის ფორმა შეტანილია გრამატიკულ ვარიაციად;

- როდესაც ზმნის პირიან ფორმას არა აქვს შესაბამისი მასდარი, ასეთ დროს სალექსიკონო ერთეულად ვტოვებთ მესამე პირის ფორმას და ამ ინფორმაციას ვუთითებთ ენციკლოპედიური ინფორმაციის ველში, მაგ. **მიიღლაგს, მიჰლაგს** – ამ ფორმების სათანადო ზმნისწინიანი მასდარი ვერ დავადასტურეთ;
- საერთო ძირის მქონე სიტყვებს ერთმანეთთან ვაკავშირებთ ბმულით **იხილე**, მაშინაც კი თუ ეს ბმა არ არის ლექსიკოგრაფიულ წყაროში, მაგ.: ვარრულოვა (სიმდიდრე, ქონება, შეძლება) დავაკავშირეთ სიტყვასთან ვარრულ (მდიდარი, შეძლებული). არსებულ ბეჭდურ ლექსიკონებში ეს ბმა აღნიშნულ სიტყვებთან არ გვქონდა.

ამ და მსგავსი ცვლილებების გარდა ლექსიკონს ემატება ასეულობით ახალი სიტყვა, მნიშვნელობა, ილუსტრაცია ან ენციკლოპედიური ინფორმაცია როგორც ახალი ლექსიკოგრაფიული წყაროებიდან, ისე ქდვ-ის ტექსტებიდან.

მ ე დ ე ა ს ა ლ ი ა ნ ი

მეტამორფოზული მოვლენები უძველეს სვანურ რელიგიურ საწესჩვეულებო და რიტუალურ ლექსიკაში.

I. დულოზ/უწონაშოზ/უყლაროზ...¹

სვანურ ხალხურ დღეობათა საწესჩვეულებო და სარიტუალო ლექსიკა ეთნოგრაფიული თვალსაზრისით მეტნაკლებად შესწავლილია, თუმცა ამ რელიგიურ წეს-ჩვეულებებსა და რიტუალებში დაცული ტერმინოლოგიის სრულყოფილი სტრუქტურულ-სემანტიკური და ეტიმოლოგიური ანალიზი, როგორც სპეციალური ლიტერატურის განხილვამ აჩვენა, დღემდე არ განხორციელებულა. ამ უძვე-

¹ ნაშრომი მომზადდა 2022 წელს შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ დაფინანსებული პროექტის (N FR – 22 – 7056) – „**სვანური რელიგიური ლექსიკის ეთნო-ლინგვისტური ასპექტები**“ ფარგლებში.

ლეს წესჩვეულებებსა და რიტუალებში, ბუნებრივია, მრავალი არქაული მოტივია შემორჩენილი, ბევრი მათგანი კი საკრალური მნიშვნელობის ფაქტების სიუხვითაც გამოირჩევა, თუმცა ყველაზე მნიშვნელოვანი ამ მასალაში მეტამორფოზული მოვლენებია.

ამჯერად ჩვენ საკვლევ თემას სწორედ უძველეს სვანურ საკრალურ წეს-ჩვეულებებსა და რიტუალებში გამოვლენილი მეტამორფოზული მოვლენების კვლევა წარმოადგენს როგორც სვანური დიალექტოლოგიური მასალის, ასევე სხვა ქართველურ ენებთან შედარება-შეპირისპირების საფუძველზე. შესაბამისად, კვლევის მიზნებისა და ამოცანების გათვალისწინებით, გამოყენებულია კვლევის სხვადასხვა მეთოდი: სინქრონიული, დიაქრონიული, დესკრიფციული, ისტორიულ-შედარებითი, შინაგანი რეკონსტრუქციის მეთოდები...

მოხსენებაში ექსტრალინგვისტურ მასალაზე დაყრდნობით წარმოდგენილი იქნება მსჯელობა რამდენიმე უძველესი რელიგიური დღესასწაულისა და ამ დღესასწაულების სახელწოდებათა აღმნიშვნელი ლექსიკური ერთეულების (მაგ.: **დულობ** (ზს., ქს.) „სვან ქალთა ტაბუირებული დღესასწაული“; **უწინაშობ/უწინაშ/უწინაშ** (ზს.) „საგანგებოდ შეწირული საკლავის ან ნამცხვრის შეჭმა ოჯახში ისე, რომ გარეშემ არ დაინახოს“; **უყლარობ/უყლა** (ბქ.) „საგანგებოდ შეწირული საკლავის ან ნამცხვრის შეჭმა ოჯახში ისე, რომ გარეშემ არ დაინახოს“; **ლალყაჯ** (ბქ.) „აკრძალული შესაწირი, რომელიც ოჯახის წევრების გარდა არავის უნდა ენახა“...) შესახებ. სტრუქტურულ-სემანტიკური და ეტიმოლოგიური ანალიზი გამახვილდება იმ უძველეს სვანურ ლექსიკურ ერთეულებზეც (მაგ.: **დულ[უ]** (ზს.)/**დულ** (ქს.) „ყველისგულიანი სალოცავი კვერი/ხაჭაპური გამოცხვარი ქალის მიერ ოჯახის სხვა წევრთაგან ფარულად“; **უწინაშ/უწინაშ** (ზს.) „შესაწირავი კვერები, რომელთა შეჭმა და ხილვა ადკვეთილი იყო ოჯახის გარეშე პირთათვის“; **უყლა** (ბქ.) „აკრძალული საკვები (პური, ხორცი...) ოჯახის გარეშე პირთათვის“; **ლალყაჯ** (ზს.)/**ლეყაჯ** (ზზ., ქს.)/**ლალყაჯ** (ლზზ., ჩოლ.)/**ლეყაჯე** (ლზზ.) „აკრძალული/ტაბუირებული გარკვეული საოჯახო დღეობების სამსხვერპლო ღორი ან მთლიანად, ან მისი თავი თუ ქვედა ყბა, მუცელი, შიგნეული, სისხლი, ძვლები და ჯაგარი და სხვ.“...; **ლეშირ ღუინძილ** (ზზ.)

„ყველისგულიანი სალოცავი პური, რომელსაც ქალები აცხოვდნენ და სწირავდნენ მიწას“; **კიხუ** (ბქ.)/**კიხე** (ჩოლ.) „რიტუალური პური“...), რომელთა ნაწილი ტაბუირებულია და ხშირად ამ ლექსემების თავდაპირველი სემანტიკის გარკვევა ჭირს მათი არქაულობიდან გამომდინარე.

საილუსტრაციოდ გამოყენებული სვანური დიალექტოლოგიური რელიგიური (წარმართული თუ ქრისტიანული) მასალა, რასაკვირველია, შედარებული იქნება **ქართულ-ზანურ** ენობრივ მონაცემებთან, რაც საშუალებას მოგვცემს გამოვავლინოთ როგორც **საერთოქართველური**, ასევე **სხვა ენათაგან შეთვისებული** და **საკუთრივ სვანური მასალა**, რომელიც განსაკუთრებით ფასეულია ზოგადლინგვისტური თვალსაზრისით, ხოლო უძველესი მსოფლმხედველობისა და რწმენის შეძლებისდაგვარად სრული სურათის წარმოსაჩენად უმნიშვნელო დეტალებსაც კი დიდი მნიშვნელობა აქვს, რადგან მათ, როგორც ვ. ბარდაველიძე მიუთითებდა, „ძალუმთ აღადგინონ და ნათელყონ დღეობისა და რწმენის მნიშვნელოვანი მომენტები“.

თ ე ა ტ ე ტ ე ლ ო შ ვ ი ლ ი

ფრჩხილების ფორმისა და ფუნქციისათვის

ფრჩხილები ეს არის ვერტიკალური, ერთმანეთისკენ მიმართული წყვილი სასვენნი ნიშანი, რომლის სხვადასხვა ფორმა არსებობს: მრგვალი – (), კვადრატული – [], ფიგურული – { }, კუთხოვანი – < >... ბოლო პერიოდში დახრილმა ხაზებმაც (/ /) შეიძინა ფრჩხილების ფუნქცია, თუმცა მათი გამოყენება შეზღუდულია. ქართულ პუნქტუაციაში ძირითადად გამოიყენება მრგვალი და კვადრატული ფრჩხილები და მათი ხმარების არეალი განსაზღვრულია.

ტრადიციულად, მრგვალ თუ კვადრატულ ფრჩხილებს განსხვავებულ შემთხვევებში გამოვიყენებთ. მრგვალი ფრჩხილების უმთავრესი ფუნქციაა წინადადებისგან გამიჯნოს დამატებითი, არა-

ძირითადი, ინფორმაცია (სიტყვები, მოსაზრებები...), კვადრატული ფრჩხილები კი ციტირებულ წინადადებაში გამოტოვებული და ავტორის მიერ აღდგენილი სიტყვის ან ფრაზის ძირითადი წინადადებისგან გამოსაყოფად იხმარება. კვადრატულ და ფიგურულ ფრჩხილებს პუნქტუაციის გარდა სხვა ფუნქციური დატვირთვაც აქვთ.

მიუხედავად იმისა, რომ გამიჯნულია თითოეული ფორმის ფრჩხილის გამოყენების შემთხვევები, ნაწერი ტექსტების ანალიზისას არაერთგვაროვანი სურათი იკვეთება. მაგალითად, გვხვდება კვადრატული ფრჩხილების მრგვალის ნაცვლად გამოყენების შემთხვევები ან პირიქით... ამ უზუსტობას, ჩვენი აზრით, ხელს უწყობს ტექსტების კომპიუტერული ბეჭდვა და წერილობითი ტექსტის ავტორის დამოკიდებულება ფრჩხილების მიმართ – თითქოს მისთვის ფრჩხილის ფორმის არჩევა უფრო გემოვნების საკითხად აღიქმება. ფორმის საკითხი წამოიჭრება ორმაგი ფრჩხილის საჭიროების შემთხვევაშიც.

ჩვენი საკონფერენციო მოხსენებაც სწორედ ფრჩხილების ფორმისა და ფუნქციის ურთიერთმეჭიდულობის ანალიზს ეხება.

რ ო ს ტ ო მ ფ ა რ ე უ ლ ი ძ ე

ფიცილის ფორმულათა ერთი სახეობა

ნახურ ენებში

1. ნახურ ენათა საფიცარ სიტყვებში, ე. წ. ფიცილის ფორმებში, გამოიყოფა არსებით სახელთაგან ნაწარმოები შორისდებულები, რომლებიც გამოყენებულია სათქმელის ან ნათქვამის უტყუარობის დასტურად. ასეთ ფორმულებს, ჩვენი აზრით, მტკიცებითი, დადასტურებითი ფორმულებიც შეიძლება ეწოდოს.

შორისდებულები ნახურ ენებში სათანადოდ შესწავლილი არ არის, არ მოგვეპოვება ამ პრობლემისადმი მიძღვნილი სპეციალური ნაშრომი. ფიცილის ფორმულები მსჯელობის მიღმა არის დარჩენილი.

2. ფიცილის ფორმულები, ჩეჩნურ და ინგუშურ ენებში ნაწარმოებია -ვარ ან -ჟორ ფორმანტებით. ზოგი ასეთი სიტყვა ჩეჩნური ენის ქისტურ დიალექტში იგუებს ორივე ამ ფორმანტს: **ლეთთ-ჟორ // ლეთთ-ო-ვარ** „მიწის მადლმა“. ივარაუდება, რომ სახელის ნათ. ბრუნვის ნიშნის თანხმონითი კომპონენტი საკვლევი ფორმანტის წინ ჩავარდნილია. -ვარ სუფიქსს წოვათუშურში როგორც ფუნქციურად, ისე ფონეტიკურად შეესატყვისება -ვარ: **დაღე^ნ ვარ** „ღვთის მადლმა; ღმერთს ვფიცავ“...

აღნიშნული ფორმანტები ნახურ ენებში დაერთვის მარტივ ფუძიან სახელებსაც და კომპოზიტებსაც.

ჭ ა ბ უ კ ი ქ ი რ ი ა

თანხმოვანფუძიან სახელთა პარადიგმები ზანურში

სახელის **ძირითადი ფორმა** მეგრულ-ლაზურში ორ- ან სამ-კომპონენტანია: **ფუძე + ზრ. ნიშანი** ან **ფუძე + რიცხვ. ნ. + ზრ. ნიშანი**: ერთი მხრივ, გვაქვს **კოჩ-ი/კოჩ-ეფ-ი/კოჩ-ეფ-ე...** მეორე მხრივ, **კატუ/კატუ-ეფ-ი/კატუ-ფე...**

უცვლელია ხმოვნებზე დაბოლოებული **ფუძე** მხოლობითში. მრავლობითში კვეცა ჩვეულებრივია. კუმშვა არც მხოლობითში ხდება და არც მრავლობითში.

თანხმოვანფუძიანებს მეგრულში სახელობითის ნიშნად -ო მოუდით (ისევე, როგორც ქართულში).

ზმირ შემთხვევაში **ი** ჩანს სხვა ბრუნვებში ფუძის ბოლოს. ამ შემთხვევაში მსჯელობენ სახელობითის მორფემის „**ფუძესთან შეხორცებაზე**“.

თუ სახელობითის **ი** ფუძეს შეუხორცდა და სხვა ბრუნვებშიც გადავიდა, მაშინ ის აღარ არის სახელობითის ნიშანი, ფუნქციური მარკერი, – ის არის ფუნქციადაკარგული, მორფოლოგიური სტატუსის უქონელი ელემენტი, **ფუძის ნაწილი**.

ო-ს ფუძესთან შეხორცების შემთხვევაში ვითარებითში უნდა ყოფილიყო **ბერგით** და არა **ბერგო**: **ბერგიქ** || **ბერგის** ფორმებში **ო** ფონეტიკური ჩანართია, **ბერგიშ** || **ბერგით** ფორმებში კი – ბრუნვის ნიშნის ნაწილი და, ამდენად, მორფოლოგიური ღირებულებისაა.

მოთხრობითსა და მიცემითში არაბუნებრივი ფონემური კომბინაციის დასაძლევად სხვადასხვა საშუალება გამოიყენება:

ო ხმოვნის ჩართვა თანხმოვნებს შორის: კოჩ**ო**-ქ, ბოშ**ო**-ქ, ძღაბ**ო**-ქ, კოჩ**ი**-ს, ბოშ**ი**-ს, ძღაბ**ი**-ს...

მოთხრობითის **-ქ** მორფემის წინ ყრუვდება ფუძის ბოლოვიდური თანხმოვანი: დუ**დ**-ქ > დუ**თ**-ქ, ზოთონ**ჯ**-ქ > ზოთონ**ჩ**ქ, დე**ჯ**-ქ > დე**ჩ**-ქ, ქომონ**ჯ**-ქ > ქომონ**ჩ**-ქ...

არ არის მოულოდნელი ფუძისეული **ლ**-ს გადასვლა **რ**-ში: თო**ლ**-ქ || > თორ**ქ**, თო**ლ**ს || > თორ**ს**...

CC მიმდევრობა მარტივდება მოთხრობითსა და მიცემითში (CC > C): ჩხვინ**დ**-ქ > ჩხვინ-ქ, ჩხვინ**დ**-ს > ჩხვინ-ს, ღორონ**თ**ქ > ღორონ-ქ, ღორონ-ს > ღორონ-ს, ზოთონ**ჯ**-ქ > ზოთონ-ქ, ზოთონ**ჯ**-ს > ზოთონ-ს...

ანლაუტში თანხმოვნისა თუ თანხმოვნების ჩავარდნის შედეგად მიცემითის ფუძე ხმოვანზე დაბოლოებული აღმოჩნდება: დუ**დ**-ს > დუ-ს, ცუ**ჯ**-ს > ცუ-ს, კო**ჩ**-ს > კო-ს, ხუ**ჯ**-ს > ხუ-ს...

მოთხრობითსა და მიცემითში ბრუნვის ნიშანი თანხმოვანია, რაც განაპირობებს მორფემათა ზღვარზე თანხმოვანთა თავმოყრას. ხშირ შემთხვევაში ეს თანხმოვნები ვერ ჰგულობენ ერთმანეთს, რაც ფონეტიკური ტრანსფორმაციების, გარდაქმნების საფუძველი ხდება. სუპერაციისთვის შეიძლება გამოყენებული იყოს ალტერნატიული საშუალებები (ჩხვინ**დი**ქ/ჩხვინქ, ჩხვინ**დი**-ს/ჩხვინ-ს, დუ**დი**-ქ/დუ**თ**-ქ, დუ**დი**-ს/დუ-ს...), ზოგჯერ კი არაბუნებრივი კომბინაციის დამღვეის შერჩეული გზა უალტერნატივოვა (ლაკ**ვი**-ქ, ლაკ**ვი**-ს, ბატ**ი**-ქ, ბატ**ი**-ს, კუჩ**ი**-ქ, კუჩ**ი**-ს...).

ასე რომ, სახელობითის **-ო** და მოთხრობითში მიცემითში გამოვლენილი **ო** სხვადასხვა ოდენობაა.

კოჩ-ო, **ბოშ-ო**, **ძღაბ-ო**... თანხმოვანფუძიანი სახელებად ითვლება, მაგრამ ამას **გარკვეული პირობითობა** ახლავს, თუ გავითვალისწინებთ ბრუნების საერთო სურათს, რომლის მიხედვითაც მოთხრო-

ბითსა და მიცემითში (იხ. პარადიგმა 1.) ან მხოლოდ მიცემითში (იხ. პარადიგმა 2.) **ფუძის ბოლოს ხმოვანი** ჩანს (არა აქვს პრინციპული მნიშვნელობა, როგორ აღმოჩნდა ის ამ პოზიციაში), რაც იმას ნიშნავს, რომ ამ ტიპის სახელები ერთი პარადიგმის ფარგლებში **ხმოვანფუძიანებიც** არიან და **თანხმოვანფუძიანებიც**: ეს არის ფაქტი და არა ფაქტის შეფასება.

ვნახოთ ეს ვარიანტები:

პარადიგმა 1.

სახ. კოჩ-**ო**
 მოთხრ. კოჩი-**ქ**
 მიც. კოჩი-**ს**
 ნათ. კოჩ-**იშ**
 მოქმ. კოჩ-**ით**
 ვით. კოჩ-**ო(თ)**
 მიმართ. კოჩ-**იშა**
 დაშორ. კოჩ-**იშე**
 დანიშნ. კოჩ-**იშო(თ)**

პარადიგმა 2.

კოჩ-ო
კოჩ-ქ
კო-ს
 კოჩ-**იშ**
 კოჩ-**ით**
 კოჩ-**ო(თ)**
 კოჩ-**იშა**
 კოჩ-**იშე**
 კოჩ-**იშო(თ)**

ცალკე უნდა განვიხილოთ ის შემთხვევა (იხ. პარადიგმა 3.), სადაც ყველა ბრუნვაში ფუძის ბოლოკიდურად თანხმოვანი ვლინდება:

პარადიგმა 3.

სახ. ოსურ-**ო** „ქალი, ცოლი“
 მოთხრ. ოსურ-**ქ**
 მიც. ოსურ-**ს**
 ნათ. ოსურ-**იშ**
 მოქმ. ოსურ-**ით**
 ვით. ოსურ-**ო(თ)**
 მიმართ. ოსურ-**(ო)შა**
 დაშორ. ოსურ-**(ო)შე**
 დანიშნ. ოსურ-**(ო)შო(თ)**

ბოლო პარადიგმა თანხმოვანფუძიანი სახელის ბრუნების ტიპური შემთხვევაა, ქართულის ანალოგიური.

ამდენად, „წმინდა“ თანხმოვანფუძიანთა ბრუნების ნიმუშად შეიძლება ჩაითვალოს **პარადიგმა 3**-ის მიხედვით წარმოდგენილი ფორმაცვალება, რომელსაც გვიჩვენებენ სონორებზე დაბოლოებული ფუძის მქონე სახელები.

მ ე დ ე ა ლ ლ ო ნ ტ ი

ქართული სიტყვის საღვთისმეტყველო მორფო-სემანტიკისათვის

(ექსკლუზივი, შესაქმისეული დრო)

სიტყვის ფორმის (resp. ხორცის) და სემანტიკის (resp. სულის) ისტორიული განვითარების სკალაზე საგულისხმოდ აღიბეჭდება სიტყვათშემოქმედი ერის საღვთისმეტყველო ასპექტები. ამის დასტურად წარმოვადგენთ ქართული სიტყვის (კერძოდ, ზმნური ერთეულების) მორფო-სემანტიკური ანალიზის ცდას, კერძოდ:

I. წმიდა იოანე ოქროპირის განმარტებით, მიზანდასახულობა „ურთიერთარს სიმძიმის ტვრთვისა“ (მათე 8,17; გალატელთა მიმართ 6,2) და უმთავრესი ქრისტიანული მცნებისა: „შეიყუარო მოყუასი შენი, ვითარცა თავი თვისი“ (ლევიტელთა 19,18; ლუკა 10,27) – „უსაკუთრესად“ აისახება „მამო ჩუენოს“ ლოცვაში, რომლითაც უფალი ქრისტიან მლოცველს განუწყესებს: „კაცად-კაცადი ყოველთავე მოყუასთა და მმათათვს ილოცვიდეს, არა თავისა თვისისათვს ოდენ“.

ჩვენმა მაღლიანმა წინაპარმა ქართულენოვან უფლისმიერ „მამო ჩუენოს“ სავედრებელში საგანგებოდ შეაჩერა არჩევანი ზმნა-შემასმენელთა **ექსკლუზივის** ფორმებზე (**I** პირი+**III** პირი): „პური ჩუენი არსობისად **მო-მ-ევ** ჩუენ დღეს, და **მო-მ-იტევენ** ჩუენ თანანადებ-

ნი ჩუენნი... და ნუ **შე-მ-იყვანებ** ჩუენ განსაცდელსა, არამედ **მ-იკსნენ** ჩუენ ბოროტისაგან“ (მათე 6,11-13; ლუკა 11,3-4). ძველი ქართული ზმნის ამ მორფოლოგიური ფაქტორის გათვალისწინებით, უცდომელად აღიბეჭდება მართლმორწმუნე ქრისტიანის ლოცვის საგნის საყოველთაოობა, შდრ.: **ექსკლუზივი = „შეიყუარო მოყუასი ↔ III პირი (←ყველა) + „ვითარცა თავი თვისი“ ↔ I პირი (← მე).**

II. ქართული **მო-მა-ვალ**-ის პარადოქსული მრჩობლი მორფოსემანტიკა (← **სვლა** ზმნის **ახლანდელი** დროის მიმღეობა: „ვინც ან რაც **მოდის**“ ↔ „მომავალი დრო: „ვინც ან რაც **მოვა, იქნება**“) უმუალოდ უკავშირდება ნეტარი ავგუსტინესეულ სწავლებას შესაქმისეული ბუნებითი დროის სუბიექტურობაზე: **მომავალი** არის **აწმყო მომავალისა**, ანუ მხოლოდ **მოლოდინის** სულისმიერი განცდა **აწმყოში**.

განიმარტება, რომ იერუსალიმში დიდებით შემავალი იესო ქრისტეს ფსალმუნისეულ საზეიმო მოკითხვაში – „კურთხეულ არს **მომავალი** სახელითა უფლისაჲთა!“ (მათე 21,9; მარკოზი 11,9; ლუკა 19,38; იოანე 12,1; ფსალმუნი 117,26) – **მომავალი** იმოსება დროის ქრისტიანული (ბიბლიური) ესქატოლოგიური განცდით: „კეთილად არის თქმული: **მომავალი**, და არა – **მოსული** ან **მოვა**... რადგან **უფალი მარადის მოდის** და ეცხადება კაცთა მოდგმას (თუმცა არა ხორციელად)“ (წმიდა იოანე ოქროპირი; ზილაბენი). ეს კი მართლმორწმუნე ქრისტიანს უფლის მეორედ მოსვლის **დღენიადაგ** განცდას ავალდებულებს.

კემზარიტად! – „გაქრისტიანდა არა მარტო ქართველი ერი, არამედ სიტყვამ ქართულმაც შეიმოსა ქრისტეს ნათელი“.

მეგრული ართცალო (|| არცალო || არცაიო || არცაო) სიტყვის სტრუქტურულ-სემანტიკური ანალიზი

მეგრულში დასტურდება ზმნიზედა **ართცალო** (*ართ-ცალო) და მისი ფონეტიკური ვარიანტები **არცალო** (*არ-ცალო) || **არცაიო** (*ართ-ცაიო) (მარტვ.) || **არცაო** (*არ-ცაო) (მარტვ.) „ზუსტად, ნამდვილად (ექვმიუტანლად, სრულიად, სარწმუნოდ, უეჭველად)“: ჯას გუთოხენანი თინეფი, **ართცალო/არცალო** დალი დო იზო რენა „ხის ქვეშ რომ სხედან ისინი, ნამდვილად იზო და დალი არიან“; და დო ჯიმა **არცაიო** მოგენა ჟირხოლო ართმაჟიას „და-ძმა ნამდვილად/ზუსტად ჰგვანან ერთიმეორეს“; თი ბაღანა **არცაო** ნიკაე „ის ბავშვი ნამდვილად ნიკაა“. ეს ლექსიკური ერთეულები ლექსიკონებში არ არის შესული. მასალა დამოწმებულია მთქმელებთან.

საანალიზო ერთეულები **ართცალო** || **არცალო** || **არცაიო** || **არცაო** არის თანდებულიანი სახელი. მათთვის ამოსავალი არის რიცხითი სახელი **ართ**-ი „ერთი“. შესაბამისად, ყველა ერთეულისთვის აღდგება ფორმა ***ართიცალო** (ართ-ი-ცალო). მოცემულ ფორმებში დაკარგულია: ა) **-ი** ბრუნვის ნიშანი (**ართ**-ცალო), ბ) ფუძისეული **თ**- (**არ**-ცალო, **არ**-ცაიო, **არ**-ცაო). ფორმათა მეორე ნაწილი **-ცალო** ქართული „-ვით“ თანდებულის ფარდია, რომელიც მარტვილურ კილოკავში სახეცვლილია. ერთი მხრივ, **ლ**- არის გადასული **ი**-ში (-ცაიო), მეორე მხრივ, **ლ**- დაკარგულია (-ცაო).

სტრუქტურული ანალიზის საფუძველზე შეიძლება აღდგეს **ართცალო** || **არცალო** || **არცაიო** || **არცაო** ფორმათა სემანტიკა *ერთი-ვით (ერთ-ი-ვით), ისე როგორც ერთი.

პრერუპტივთა წარმომავლობისათვის ადილეური ენის დიალექტებში

ხშულთა სამეულებრივი სისტემა (მჟღერი, ფშვინვიერი, აბრუპტივი) დამახასიათებელია ყველა აფხაზურ-ჩერქეზული ენისათვის. ადილეური ენის ბჟედულურ და შაფსულურ დიალექტებში მოიპოვება მინიმალური ფშვინვის მქონე ბგერები – პრერუპტივები, რის შედეგადაც ამ დიალექტებში იქმნება ხშულთა ოთხეულებრივი სისტემა (მჟღერი, ფშვინვიერი, პრერუპტივი, აბრუპტივი). პრერუპტივთა წარმომავლობის შესახებ სხვადასხვა თვალსაზრისი არსებობს. ჩვენ იმ აზრს ვიზიარებთ, რომლის თანახმადაც საერთო აფხაზურ-ჩერქეზულ დონეზე არ უნდა გვექონოდა, მაგრამ საერთო ჩერქეზულ დონეზე უნდა არსებულიყო. ამოსავალი პრერუპტივები შეინარჩუნა ბჟედულურმა და შაფსულურმა დიალექტებმა, ჭიმგულურსა და აბძაზურში კი ფშვინვიერები მოგვცა, ყაბარდოულში – მჟღერები.

პრერუპტივების მიღების ერთ-ერთი გზა უნდა ყოფილიყო ფშვინვიერი + ფშვინვიერი ტიპის კომპლექსებში დისიმილაციის წესის ამოქმედება,¹ კერძოდ, აღნიშნულ კომპლექსში დისიმილაციით პირველი თანხმოვნის პრერუპტივად გარდაქმნა, შემდეგ – ჩერქეზულ ენა-დიალექტებში სხვადასხვა რეფლექსი. რასაკვირველია ყველა პრერუპტივი ამ გზით არ არის მიღებული. საჭიროა შემდგომი ძიება...

¹ ეს წესი ინდოევროპულ ენათა მასალის საფუძველზე ჯერ კიდევ 1863 წელს დაუდგენია გერმანელ მკვლევარს ჰ. გრასმანს. 1993 წელს, როდესაც პრერუპტივთა წარმოშობის საკითხზე პირველად გავამახვილეთ ყურადღება, ამის შესახებ ინფორმაცია არ გვექონდა.

იზა ჩანტლაძე, რუსუდან იოსელიანი,
ნანა ქავთარაძე

ევროპელები და სვანები

წინამდებარე მოხსენების თემატიკა შერჩეულია ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორის, საპატიო პროფესორის იზა ჩანტლაძის მიერ 25 წლის წინ, მას შემდეგ, რაც მასწავლებელს მისმა მოწაფემ – ფილოლოგიის აკადემიურმა დოქტორმა რუსუდან იოსელიანმა, უამბო პაპის პაპის, სოფელ მუჟალში პირველი ქართული სკოლის დამაარსებლის, ე. წ. ნამდვილი (ანუ ქუთაისში კურთხევამიღებული) მღვდლის გიორგი მარგიაანის სახლის შესახებ, სადაც სვანეთში ჩასულ ყველა უცხოელ თუ ქართველ სტუმარს ალაღად ეპატიჟებოდნენ, რომლებიც თავიანთ კვალს ტოვებდნენ კედელზე გაკეთებული ავტოგრაფული წარწერის სახით. ასეთი ფორმით ახსოვს ბატონი გიორგის შვილთაშვილს, უაღრესად განათლებულ პედაგოგს, ქალბატონ ლილი მარგიაანს ნიკო მარის, ექვთიმე თაყაიშვილის, შალვა ამირანაშვილის, ლევან გოთუას, ვიტორიო სელას, დუგლას ფრემფილდის, მორიზ დემის, ბარონ დე-როზენის, რენე შმერლინგისა და სხვათა ავტოგრაფები, თავისი თვალით ნანახი, მაგრამ შემდგომში ახალგაზრდებმა მოინდომეს სახლის რემონტი და არაჩვეულებრივი სვანური კაკლის ხის შავი კედლები ნაირნაირ ფერებში შეღებეს – თავისთავად ცხადია, წარწერებიც წაიშალა, თუმცა მასპინძლები არ კარგავენ იმედს საღებავთა გადამლისა ქიმიურ-ბიოლოგიური უახლესი მეთოდოლოგიის გამოყენებით.

როცა ზემოაღნიშნული ამბავი გავიგეთ, მაშინ ჩვენი მასწავლებელიცა და მისი მოწაფეებიც ვმუშაობდით სრულიად შეუსწავლელ კოდორულ სვანურზე (კიდეც კარგი მოვასწართ, თორემ ახლა დალის ხეობაში ჩვენ ვინ შეგვიშვებს?!), გამოვეცით ვრცელი მაღალაკადემიური ტომები, რომლებმაც დიდი მოწონება დაიმსახურეს როგორც ჩვენში, ისე უცხოეთში. ცხადია, ხელი შეგვიშალეს კოვიდისა თუ ნაირ-ნაირი გრიპის ვირუსებმაც (ზოგჯერ შიშისაგან გარეთაც კი ვეღარ გამოვდიოდით!). ახლა კი სწორედ წინამდებარე მასალებზე მუშაობის დროა – **ჩვენ ხომ უკვე ევროკავშირის წევრობის კანდიდატი ქვეყანა ვართ!**

რაკი **2022 წლამდე მხოლოდ ერთი სტატია** („სვანური ზღაპრების უორდროპისეულ თარგმანთა ხელნაწერები ოქსფორდის უნივერსიტეტში“) **გამოქვეყნდა საგრანტო თემატიკასთან დაკავშირებით** (იხ. „ქართველური მემკვიდრეობა“, ტ. XXV, ქუთაისი, 2021, გვ. 345-356), ამიტომ შევეცადეთ კონკურსში მისი წარდგენისას გვქონოდა დეტალური ანალიზი, ახლა კი უკვე ხუთი გამოკვლევა დაიბეჭდა (იხ. „ქართველოლოგი“, ტ. 29, თბილისი, 2023, გვ. 147-180; აგრეთვე, მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ენის, ლიტერატურისა და ხელოვნების სერიის სამეცნიერო კრებულის „მაცნე“ სამი ტომი – №1, 2022; №2, 2023; №3, 2024. „იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება“, ტ. 50, 2023) და საერთაშორისო თუ ადგილობრივ სამეცნიერო კონფერენციებზე წაკითხული შვიდი მოხსენების ვრცელი თეზისები; ამჯერად ვეცდებით, წარმოვადგინოთ ჩვენთვის საინტერესო და აქამდე ბევრისთვის უცნობ მასალათა ლინგვოკულტუროლოგიური ანალიზი შედარებით მოკლედ. ბედნიერება იქნებოდა, დღეს რომ ცოცხალი ყოფილიყო სამაგალითო მოქალაქე და დიდებული კინორეჟისორი ბატონი რეზო თაბუკაშვილი, რომელიც იტალიაზე გადაღებულ ფილმში საქვეყნოდ აღიარებული ფოტოგრაფისა თუ მხატვრის ვიტორიო სელას მუზეუმის დათვალიერებისას ძალიან წუხს, რომ დუგლას ფრემფილდის (**რვაჯერ რომ იყო სვანეთში!**) ალპინისტური ჯგუფის მიერ ჩვენს თვალწარმტაც რეგიონში მოპოვებული ძველი ქართული ხელნაწერები ახლა იტალიაშია და არა საქართველოში. რამდენადაც ჩვენთვის ცნობილია, ამ ხელნაწერთა ნაწილი უკვე ინახება საქართველოს ხელნაწერთა ინსტიტუტში სამეცნიერო კვლევა-ძიების ჩასატარებლად.

ეს ის დუგლას ფრემფილდია, რომელმაც თავის ორტომეულ წიგნში „The Exploration of the Caucasus“ (1896 წ.) ხაზგასმით აღნიშნა: **სვანეთი გულია კავკასიისა და სახურავი ევროპისა**, ხოლო ლონდონის სამეფო გეოგრაფიული საზოგადოების წევრებს, რომელთა შორის დიდი მეცნიერი ჩარლზ დარვინიც იყო, ამაყად განუცხადა სვანეთის შესახებ წაკითხულ მოხსენებაში („Explorations in the Central Caucasus in 1890“, Proceedings of the Royal Geographical Society, 1892) 1888 წლის 12 მარტს: უშბა სვანეთის დიდი ტყუპი ძმთა, სვანური კოშკები კი უშბის ტყუპისცალებიო – **ამაზე მეტის თქმა მართლაც შეუძლებელია!..**

**პროლოგისა და ეპილოგის ანტინომიისათვის
შოთა ნიშნიანიძის ბელეტრისტულ პოემაში
„ქვეშევრდომები“**

შოთა ნიშნიანიძის ბელეტრისტული პოემა „ქვეშევრდომები“ არამარტო მხატვრულ-ენობრივი თავისებურებებით გამოირჩევა, არამედ ფორმობრივ-სტრუქტურული თვალსაზრისითაც საგანგებო ყურადღებას იმსახურებს. პოემის ზოგი ენობრივი თავისებურების შესახებ ჩვენ უკვე აღვნიშნეთ (იხ. მ. ჩაჩანიძე, შოთა ნიშნიანიძის ბელეტრისტული პოემის – „ქვეშევრდომები“ – პოეტურ-ლინგვისტური თავისებურებებისათვის, არნ. ჩიქობავას საკითხავები, XXXIV, თბ., 2023; მ. ჩაჩანიძე, პოეტური გამეორება და სინონიმური პარალელიზმი შოთა ნიშნიანიძის ბელეტრისტულ პოემაში „ქვეშევრდომები“, ენათმეცნიერების ინსტიტუტის 82-ე სამეცნიერო სესია, თბ., 2023); ამჯერად პოემის პროლოგისა და ეპილოგის ანტინომიის საკითხს შევხებით.

პოეტის განწყობისა და პოემის განწყობის საფუძვლებიდან გამომდინარე (მშვენიერ რითმათაგან მიზნობრივად თავისუფალი, შედარებებითა და მეტაფორებით დატვირთული ვერლიბრითაა აგებული პოემის მთელი ტექსტი), პროლოგისა და ეპილოგის ანტინომია პოემის სტრუქტურის კარდინალური საკითხია. პოეტმა, სრულიად სამართლიანად, საკუთარი ემოციის, ეროვნული სულისკვეთების სიმძაფრისა და გადმოცემული ამბის ტრაგიზმის მკითხველამდე საგულდაგულოდ მიტანის ეს სტილისტიკური ხერხი აირჩია; ამ გზაზე კი თეზა : ანტითეზის კლასიკური ფორმატი ინვერსიული რიგით მიუსადაგა პოემის უმთავრეს სათქმელს და წარმოადგინა, როგორც ანტითეზა : თეზა. პოემის ტექსტის გაცნობისადმი ინტერესი ასე უფრო ოსტატურად ღვივდება, მკითხველზე ემოციური ზემოქმედება ასე უფრო ღირებულია, მოვლენის ტრაგიზმი უფრო ყოვლისმომცველი და ტექსტის შინაარსობრივი რაგვარობა გაცილებით ტყვადი.

პოემის პროლოგი – ანტითეზა – 18 ტაეპისაგან შედგება, ეპილოგი – თეზა – 2 ტაეპისაგან. ისინი, საკუთარი სათქმელის გარდა, პოემის ძირითადი ტექსტისადმი ერთგვარ მაორიენტირებელ ფუნქციასაც ითავსებენ. ტექსტის კომპოზიციის ამ მონაკვეთებში წარმოდგენილი სათქმელის ექსპრესიულ-ემოციური ელფერი (აკრძალვა, უარყოფა, მოწოდება, ხვეწნა-მუდარა, დამუნათება, დაჟინებული თხოვნა და მოთხოვნა) უეჭველად არწმუნებს მკითხველს (თავიდან, პირველივე სტრიქონებიდან, ძახილის ნიშნებში მოქცეულსა და ამით ერთობ შეზოჭილ-დაეჭვებულს), რომ სწორედაც ბრძანებითის ფორმას საჭიროებდა ესოდენ ტკივილიანი სათქმელი. ანტინომიის მეტი გათვალსაზიროებისათვის სრულად მოვიხმოთ ანტითეზა : თეზის ორივე სტრუქტურულ ერთეულს:

პროლოგი

არ წააკითხოთ ეს პოემა ამაყ ქართველებს!
არ წააკითხოთ!
არ წააკითხოთ!
არ წააკითხოთ, ვისაც უყვარს თავისუფლება
და საქართველო,
არ წააკითხოთ!

მისი ავტორი გადაეცით ანათემაზე!
– ანათემაზე!
– ანათემაზე!
არ დაიჯეროთ მისი მგნოსნობა,
არა და არა, არ დაიჯეროთ,
როგორც არ გჯერათ საჭურისის დონჟუანობა,
ანდა მუნჯის თარჯიმანობა.

გთხოვთ, წააკითხოთ ეს პოემა მხოლოდ ლაქიებს,
მხოლოდ მონებს,
კარიერისტებს, ჩინ-მედლებზე გაგიჟებულებს!
არ წააკითხოთ, არ წააკითხოთ, არ წააკითხოთ
ეს პოემა ამაყ ქართველებს! (გვ. 29).

ეპილოგი

გთხოვთ, წააკითხოთ ეს პოემა ამაყ ქართველებს!
გთხოვთ, წააკითხოთ, ვისაც უყვარს თავისუფლება! (გვ. 36).

პირველი მონაკვეთის შინაარსობრივი რაგვარობა უკუთქმითი ფორმითაა გამოხატული, უფრო მეტიც, მისი ძირითადი ტონალობა კატეგორიული, აკრძალვითი ბრძანებითაა, მეორისა, პირიქით, თხოვნაა წართქმითი ფორმით, თხოვნა იმის შესრულებისა, რასაც ასე დაჟინებით უკრძალავს მკითხველს პირველი მონაკვეთი. ორივე კი, საბოლოო ჯამში, კონტრულური შტრიხებით, კონკრეტული დეტალებითა და აზრობრივი სიღრმით, თანაბარი სიძლიერით მიემართება პოემის ძირითად ტექსტს და მკითხველის ემოციური თანადგომისა და გონივრული მხარდაჭერის (თუ სულაც მიმხრობის) განწყობის შექმნას ემსახურება. ფაქტია, რომ პოემის პროლოგისა და ეპილოგის, როგორც ანტითეზა : თეზის მეშვეობით წარმოდგენილი ბინარული ანტინომია მაქსიმალური ხასიათისაა. მაქსიმალიზმი გამოხატულია:

ფორმალურ-სტრუქტურულად თეზა : ანტითეზის ინვერსიულობითა და დისპროპორციით;

შინაარსობრივ-ინფორმაციულად: ანტითეზა : თეზის უკუთქმითი (უარყოფითი) და წართქმითი (დადებითი) ფორმებით გადმოცემული აზრის მეშვეობით.

ორივე მონაკვეთისთვის ნიშანდობლივი მოდალური ნიუანსები, უპირატესად კი იმპერატიული ინტონაცია, გრაფიკულად სათანადო სასვენი ნიშნით – ძახილის ნიშნით ფორმდება. ვფიქრობთ, შემთხვევითი არაა და ამ დაპირისპირებაში კულმინაციურ ეფექტს ამკვეთრებს ტაეპთა რაოდენობაც, უფრო სწორად, ტაეპთა რაოდენობა სიმბოლური დატვირთვისა ჩანს:

პროლოგის – ანტითეზის – 18 ტაეპი – 18 საუკუნე ქრისტეს აქეთ დიდი ფიზიკური და მორალური ბრძოლებისა;

პოემის ძირითადი ტექსტი – მე-19 ს-ის ტრაგიზმით აღბეჭდილი ისტორია, ღირებულებათა გაცამტვერების ეპოქა და

ეპილოგის – თეზის – 2 ტაეპი – ორიოდე სიტყვა თანამედროვე ეპოქიდან: რაღაა სათქმელი, ისტორიის გაკვეთილები თუ მაინც არაფერს ნიშნავს; რაღა რჩება, მათი არდავიწყების თხოვნისა და დანანების გარდა.

ასეთი უცნაური ფორმით საკუთარ ნააზრევს იმადაც გვამცნობს დიდი ხელოვანი, რომ იქნებ, ასე უფრო გავეუსწოროთ თვალი სინამდვილეს. იქნებ, ასეთი რადიკალური ფორმით ნათქვამმა მეტად დაგვაფიქროს ჩვენსავე სვე-ბედზე, თავისუფლების არსზე, დანაშაულის ტოლფას შეცდომებზე. ამაზრზენი რეალობით შეძრწუნებული პოეტი იმიტომაც მოუწოდებს მკითხველს, რომ ჯერ, უპირველესად, თვით იგი – ავტორი გადასცენ ანათემაზე, ვინიცობაა შემდეგ სხვებმა მის მაგალითზე უკეთ იგრძნონ ისტორიული სიმახინჯისა და სირცხვილის მათრახის სიმწვავე, მორალური პასუხისმგებლობის უზენაესობა პიროვნული და ეროვნული თავისუფლების გზაზე.

ნ ი ნ ე ლ ი ჭ ო ხ ო ნ ე ლ ი ძ ე

ზოგი დიალექტური სიტყვის წარმომავლობისათვის (ბოკოლა, ნიხრი, ხოზდაგი, ჩომა)

1. **ბოკოლა** (გუდამაყ., ფშ.) მოკლე და სქელრქიანი საქონელი – ქეგლი. || პატარა მოზვერი, რომელიც ჯერ უღელში არ ბმულა. || მოკლერქებიანი ან რქამოტეხილი ხარი (მთ.–რაჭ. რეხვ.). აგრეთვე (ფშ. ხორნ.). **ბოკორა** მოკლერქებიანი ან ურქო ღონიერი ხარი. ბოკორა ხარი არი, რქები არა აქ, ხოლოთა დიდი თავი აქ და კარქი ღონიერი ხარია ისა, ემაგითანა ხარ ეტყვიან ბოკორასა, ისე კიდე, დოლასაც ეტყვიან (იგ.). რაც თავი მახსომს, გლახოს რო ბოკორა ხარები ჰყამდა, იმითანა კაი გამწევი ხარები არ მინახამ (იგ., ქართლ. მესხ.).

ვფიქრობთ, რომ გამოყოფილი სიტყვები წარმომავლობით იგივეა, რაც ძველქართულისეული ბოკულიაჲ βουκάλις, τὸ ἄλογον, საქონელი. „დადათუ თეზაიდად ახვდე, გინათუ, ვითარცა-ევე გულსა მოგიცდა, შთასლვად ბოკულიად, უფროდსი და მრჩობლი შრომაჲ გაქუს დათმენად“ (მ. ცხ. 33, 32).

2. **ნიხრი** ძალიან ბებერი საქონელი. „მაგის ფურს ვინად იყიდის, ნიხრ, კბილის კაკოლ არ ებადების“ (ხევს. თავის. 234, 3, 4). დანიხრდების ძალიან დაბერდება (საქონელი) (ხევს. ჭინჭ.). ვფიქრობთ, რომ ნიხრი ფონეტიკური ცვლილებებით < ნახირი. **ნახირი**, მროწეული, (+ ზროხის ჯოგი Z) – საბა. ნახირი მსხვილფეხა რქოსანი საქონლის ჯოგი – ქეგლი. „ზუაობენ... ნახირებსა ზედა ოთხფერტასა“ (A-92, 324) – ილ. აბულ. **ნახირი** ხევსურულში ახლა სიმრავლის აღმნიშვნელ სიტყვად არის ქცეული: „არა ნახირია“-ო რომ იტყვის ხევსური, ეს ნიშნავს: „ცოტაა“-ო (ხევს. თავის. 231). ნახირი წარმოშობით თურქული სიტყვაა და ნიშნავს „საქონლის ჯოგს, ცხვრის ფარას“ (ქერქაძე 1974: 146).

3. **ხოზდაგი** (< ხვასტაგი) საქონელი (ხევს. ჭინჭ.). **ხვადაგი** კუთხ. (იმერ.) რქიანი საქონლის ზოგადი სახელია (შდრ. ჩომა, ძროხა). ხვადაგი რომ ხვადაგია, იგიც არ გაჩერდება მაგ ხრიოკზე (კ. ლორთქ.) – ქეგლი. ხოზდაგი, ხვადაგი სიტყვები წარმომავლობით იგივე უნდა იყოს რაც ძველქართულისეული „ქონების, სიმდიდრის, საქონლის, პირუტყვის“ მნიშვნელობის ხუასტაგი, რომელსაც სამეცნიერო ლიტერატურაში უკავშირებენ საშ. სპარსულის xōāstak-ს (ანდრონიკაშვილი 1966: 411; ქერქაძე 1974: 148).

4. **ჩომა** კუთხ. (იმერ.) საქონელი, პირუტყვი (ჩვეულებრივ მსხვილფეხა რქიანი), – ხვადაგი. ჩომები ხომ არ გინახავს? («დიალ.») – ქეგლი. **რჩომა** საქონელი, პირუტყვი. მადერ რო შენ სიტყვას ლაპარაკოვ, მე რო ის არ გევიგო, მე ვიქნები რჩომა, ჩვენ უნდა მივხვთეთ (ღარიხვეი,ზ.-იმერ. ძოწ.). ვფიქრობთ, რომ ჩომა < რჩომა. შდრ. რჩომა, რჩენა; მარჩენელი შემნახველი. სარჩომი, სარჩო რითაც თავი უნდა ირჩინონ, – საზრდო, საკვები, ჭირნახული – ქეგლი.

შემთხვევითი არ უნდა იყოს რომ 1. რჩომა დღიური რჩომა; 2. ან ხვასტაგი, რქიანი საქონელი დ. ჩუბინაშვილს ერთ ბუდეში აქვს გაერთიანებული. შდრ. საქონელი, მროწეული.

წყარო

ილ. აბულ. – ილ. აბულაძე, ძველი ქართული ენის ლექსიკონი, თბილისი, 1973.

ზ.-იმერ. ძოწ. – ქ. ძოწენიძე, ზემოიმერული ლექსიკონი, თბილისი, 1974.

მ. ცხ. – მამათა ცხორებანი, გამოსცა ვ. იმნაიშვილმა, თბილისი, 1975.

მთ.-რაჭ. რეხვ. – შუადგინა გ. რეხვიაშვილმა, მთარაჭულ სიტყვათა ლექსიკონი. – დიალექტოლოგიური კრებული, თბილისი, 1989.

ფშ. ხორნ. – გ. ხორნაული, ფშაური ლექსიკონი, თბილისი, 2000.

ქართლ. მესხ. – მ. მესხიშვილი, ქართლური ლექსიკონი (მასალები) თბილისი, 2006.

ქეგლი – ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, ტ. I-VIII, არნ. ჩიქობავას საერთო რედაქციით, თბილისი, 1950-1964.

დ. ჩუბ. – დ. ჩუბინაშვილი, ქართულ-რუსული ლექსიკონი, სასტამბოდ მოამზადა და წინასიტყვაობა დაურთო ა. შანიძემ, თბილისი, 1984.

ხევს. თავის. – ალ. ჭინჭარაული, ხევსურულის თავისებურებანი, თბილისი, 1960.

ხევს. ჭინჭ. – ალ. ჭინჭარაული, ხევსურული ლექსიკონი, თბილისი, 2005.

ლიტერატურა

ანდრონიკაშვილი 1996 – მზ. ანდრონიკაშვილი, მასალები ქართული ეტიმოლოგიური ლექსიკონისათვის, ტ. II, ნაწ. I, თბილისი.

ქერქაძე 1974 – ი. ქერქაძე, ცხოველების აღმნიშვნელი ლექსიკა ძველ ქართულში (სხვა ქართველური ენების მონაცემებთან შედარებით), თბილისი.

დენდრონიმი **ბზა** და მასთან დაკავშირებული ლინგვისტურ-კულტუროლოგიური საკითხები

დენდრონიმი **ბზა** *Buxus colchica* Pojark. (= *Buxus sempervirens* L. p.p.) არაერთი თვალსაზრისით იპყრობს ყურადღებას: 1. ის იმ იშვიათ მცენარეთა შორისაა, რომელიც ერთდროულად არის მარადმწვანეც და ფოთლოვანიც; 2. ბზა უძველესი დროიდან მიჩნეულია წმინდა ხედ; 3. ქრისტიანულ დღესასწაულთა შორის ერთ-ერთი უმთავრესის, მაცხოვრის იერუსალიმში დიდებით შესვლის, ქართული სახელწოდება ხემცენარე ბზის სახელს უკავშირდება; 4. მიუხედავად იმისა, რომ ეს უძველესი ხემცენარე საქართველოს (დასავლეთ საქართველოს) ფლორის ბუნებრივი, განუყოფელი ნაწილია, ქართველური ენები ვერ ადასტურებს მისი სახელების ისეთ ფორმებს, რომლებიც დამაჯერებელი იქნებოდა ბგერათმესატყვისობების თვალსაზრისით; 5. ამდენად, ეჭვის ქვეშ დგება ამ სახელის აქამდე წარმოდგენილი ეტიმოლოგიები.

ჩვენი ვარაუდით, **ბზა** ერთ-ერთი ადრეული აფხაზური ნასესხობაა ქართულში, რომლის ამოსავალი სემანტიკა „ცოცხალს“, „მარადმწვანეს“ უნდა გულისხმობდეს, შდრ.: „[აფხაზურში] აღდგენილი *(ა)**ბზააა**... უნდა შეიცავდეს *(ა)**ბზა** სახელს, რაც „ცოცხალს“ ნიშნავს...“ (ქ. ლომთათიძე).

ვფიქრობთ, „მარადმწვანის“ სემანტიკასთან კორელაციაშია აბაზ. **მზა**-, აფხაზ. ა-**მზა** „ფიჭვი“, ადიღ. **მაზგ**, ყაბ. **მაზ** „ტყე“, რომელთა მიხედვით აღადგენენ ს.სინდ. ***მაზა** „ფიჭვი“; „ტყე“ და ს.-ნაზ. ***ზაზა** „ნაძვი“არქეტიპებს (მ. ჩუხუა).

საზოგადოდ, მარადმწვანე მცენარეების სახელდებისას ხელშესახებია ერთი და იმავე ფუძის დადასტურება სხვადასხვა მცენარეთა (ძირითადად, ხემცენარეთა) სახელებში.

სემანტიკური კორელაცია **ბზა** – **ფიჭვი** – **ნაძვი** ადვილად ამოსაცნობია. აქ ამოსავალი სემანტიკაა „მარადმწვანე“, რაც „ცოცხალს“, „კეთილს“ და „წმინდასაც“ უნდა გულისხმობდეს, რასაც ეთნოლოგიური მასალებიც ადასტურებს.

ივარაუდება, რომ **ბზას** აუცილებლად უნდა ჰქონოდა უძველესი ქართველური სახელები, რომელთა ამოცნობა, სემანტიკური გადაწვევების გათვალისწინებით, შესაძლოა, სხვა ლექსიკურ ერთეულებში მოხერხდეს.

ზმნურ ფუძეთა მონაცვლეობისათვის მეგრულში

ქართულში გამოიყოფა ფუძემონაცვლე ზმნები, კერძოდ, გვაქვს შემთხვევები, როდესაც გამოყენებულია სხვადასხვა ფუძე სუბიექტისა თუ ობიექტის რიცხვის შესაბამისად. ფუძეები ერთმანეთს ენაცვლება დროის ან სხვა გარემოების მიხედვით.

ქართულის მსგავსად, მეგრულ-ლაზურ ენაშიც, კერძოდ, მეგრულ დიალექტში დასტურდება ზმნურ ფუძეთა მონაცვლეობა.¹

1) ყურადღებას იქცევს მონაცვლეობა სუბიექტის პირის მიხედვით: **დოღ** „დაეცა“ – **დოციუ** „დაცვივდა“, **გეძ** „დევს“ – **გეჯორგ** „ყრია“, **მეჩანს** „აბია“ – **მესორგ** „ასხია“, **დოღურ(უ)** „მოკვდა“ – **დიზლოდ(უ)** „დაიხოცა“...

2) გვაქვს მონაცვლეობა ობიექტის რიცხვის მიხედვით:

დოფილ(უ) „მოკლა“ – **დაზლოდ(უ)** „დახოცა“, **დოდვანს** „დებს“ – **დანწყენს** „აწყობს“, **დაყოთანს** „აგდებს“ – **დარღვანს** „ყრის“...

3) ზმნისწინთა შენაცვლებით შეიძლება რიცხვში დაპირისპირება გამოიხატოს: **გოთოლ** „გათალა“ – „**დოთოლ** „დათალა“, **მოთირუ** „გამოცვალა“ – **დოთირუ** „ბევრი გამოცვალა, დაცვალა“, **გოჭკირ** „გაჭრა“ – **დოჭკირ** „დაჭრა (მრავალი)“...

4) ზმნის ფუძეთა გამოყენებას მოსაუბრეთა ვინაობა (რაობა) განსაზღვრავს: **იჩიებუ** „ლაპარაკობს“ – **ზოჯუნს** „ბრძანებს“, **მურს** „მოდის“ – **მოზოჯუნს** „მოზრძანდება“, **ეიფონანს** „(ა)იყვანს“ – **ეკოფუნს** „(ა)იღებს“...

5) სხვადასხვა დროში სხვადასხვა ფუძე გამოიყენება: **რე** „არის“ – **იცი** „იქნება“ – **ყოფე** „ყოფილა“, **ურაგად** „ეუბნება“ – **უწუ** „უთხრა“ – **ურაგადუ** „უთქვამს“, **ორთ** „შვრება“ – **ქიმინ** „ქნა“ – **უქი-მინ** „გაუკეთებია“...

¹ რიცხვში ფუძემონაცვლე ზმნები განიხილა **ე. შენგელიამ** 2008 წელს დიალექტოლოგიურ სამეცნიერო სესიაზე წაკითხულ მოხსენებაში. ჩვენ მიერ წარმოდგენილი ანალიზი განსხვავებულია, ამასთან, ჩვენ ვეხებით არა მხოლოდ რიცხვში მონაცვლე ზმნებს.

ტექნიკური რედაქტორი **ლ. ვაშაკიძე**

კომპიუტერული უზრუნველყოფა **თ. გაბროშვილი**